ПРОЛЕТАРЕБО ყველა ქვეყანისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОММУНИСТ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 68 (19510) ◆ სამშაბათი, 18 მარტი, 1986 წელი. ◆ ფასი 3 კაპ.

სამზეო სახელოში

ადამიანისათვის, საზოგადოების ინტერესებისათვის

უკვე ათი დღე გავიდა, რაც კრემლის ყრილობათა სასახლეში გაიხსნა დიდებული მელოდია „ინტერნაციონალისა“, რომელითაც ტრადიციისამებრ დამთავრდა საბჭოთის კომუნისტთა ფორუმი. თითოეული ჩვენგანი, რომელიც სწავლობს, გაიაზრებს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკურ მოხსენებას, პარტიის პროგრამის ახალ რედაქციას, XXVII ყრილობის სხვა დოკუმენტებს, სულითა და გულით რომ იწონებს მის გადაწყვეტილებებს, დღეს განსაზღვრავს თავის ადგილს დასახული გეგმების განხორციელებაში.

მტკიცე მეცადინეობას, ენერგიას, ინიციატივას მოითხოვს ლენინური პარტიის მიერ შემუშავებული ოთხიალური პროგრამის რეალიზაცია. მისი არსია — უველაფერი ადამიანის კეთილდღეობისათვის, საზოგადოების ინტერესებისათვის. სოციალური პოლიტიკის ძირითად ამოცანებად პარტია სახავს: საბჭოთა ადამიანების ცხოვრებისა და შრომის პირობების განუხრელ გაუმჯობესებას; საზოგადოებრივი ურთიერთობის ყველა სფეროში სოციალური სამართლიანობის პრინციპის სულ უფრო სრულ განხორციელებას; კლასებისა და სოციალური ჯგუფების და ფენების დაახლოებას, არსებული განსხვავების დაძლევას გონებრივ და ფიზიკურ შრომას შორის, ქალაქსა და სოფელს შორის, ეროვნულ ურთიერთობათა სრულყოფას, ქვეყნის ერებისა და ეროვნებების ძმური მეგობრობის განმტკიცებას.

საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას სოციალური პოლიტიკა მიაჩნია ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების, მასების შრომითი და საზოგადოებრივ-პოლიტიკური აქტიურობის აღმავლობის, ახალი ადამიანის ფორმირების, სოციალისტური ცხოვრების წესის, როგორც საზოგადოების პოლიტიკური მდგომარეობის ფაქტორის, დამკვიდრების მძლავრ საშუალებად.

ადამიანისათვის ზრუნვა, სოციალური პოლიტიკის საკითხები პარტიის ყურადღების ცენტრშია. სწორედ სოციალურ სფეროში, ნაოქვამია სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკურ მოხსენებაში, იხსომს ხორცს ეკონომიკური საქმიანობის შედეგები, რომლებიც ეხება შრომელთა საარსებო ინტერესებს, ხორციელდება სოციალიზმის უმაღლესი მიზნები. სწორედ აქ ყველაზე ფართოდ და თვალსაჩინოდ ვლინდება სოციალისტური წყობილების ჰუმანისტური ბუნება, მისი თვისებრივი განსხვავება კაპიტალიზმისაგან.

ჩვენი სოციალური მონაპოვრები დიდი და უდავოა, ჩვენი გეგმები რეალურია და მათი განხორციელება შეიძლება. ღირსეულად შეფასა რა მიღწეული, ყრილობამ დასკვნები გამოიტანა წარსულის გაკვეთილებიდან, როცა ჯეროვნად ვერ აფასებდნენ სოციალურ-კულტურული სფეროს მომწიფებულ პრობლემებს, შესუსტებული იყო ყურადღება წარმოების სოციალური მხარისადმი, ადამიანთა ყოფისა და დასვენებისადმი, ირღვეოდა სოციალური სამართლიანობის პრინციპი. დროის მოთხოვნების გათვალისწინებით ყრილობამ განიხილა ამ სფეროს განვითარების, ეკონომიკის ეფექტიანობის ამაღლებაზე, საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა მხარეზე აქტიური, ერთიანი სოციალური პოლიტიკის ზემოქმედების გაძლიერების ამოცანები.

პარტია აყენებს ამოცანას — ავიყვანოთ ხალხის კეთილდღეობა თვისებრივად ახალ საფეხურზე. მეთორმეტე ხუთწლედში დასახული გვაქვს უზრუნველყოთ ერთ სულ მოსახლეზე რეალური შემოსავლის ზრდა 13-15 პროცენტით, მნიშვნელოვნად გავაუმჯობესოთ საქონელსა და მომსახურებაზე სახმოთა ადამიანების მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება, კომპლექსურად განვითაროთ სოციალური ინფრასტრუქტურის ყველა დარგი. დაგეგმილია ავაშენოთ 565-570 მილიონი კვადრატული მეტრი საერთო ფართობის საცხოვრებელი სახლები, გავაუმჯობესოთ ბინების ხარისხი. გაიზრდება კომუნალურ-საყოფაცხოვრებო მომსახურების მოცულობა, დაჩქარდება სოფლის სოციალური გარდაქმნა.

დიდი ღონისძიებანია გათვალისწინებული შრომის პირობების სრულყოფის, მის შინაარსში ღრმა გარდაქმნების, ხელის ოპერაციებისგან მუშაკთა განთავისუფლების საქმეში. აქ განსაკუთრებული როლი უნდა შეასრულოს სახალხო მეურნეობის ტექნიკურმა რეკონსტრუქციამ. გაუდიდდებათ დაბმარება ბავშვიანან ოჯახებს, გაუუმჯობესდებათ შრომისა და ყოფის პირობები ქალებს, უახლოეს წლებში გათვალისწინებულია მთლიანად დაკმაყოფილდეს მოსახლეობის მოთხოვნილებანი ბავშვთა სკოლამდელ დაწესებულებებზე. ბევრი რამ უნდა გაკეთდეს ჯანმრთელობის დაცვისათვის, დასვენების ორგანიზაციისათვის, მასობრივი ფიზკულტურისა და სპორტის განვითარებისათვის, მოქალაქეთა სულიერ მოთხოვნათა დაკმაყოფილებისათვის.

ყველა ჩვენი გეგმა — და ეს საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რეალობად იქცევა, თუ თითოეული საბჭოთა ადამიანი, რა ადგილზეც უნდა შრომობდეს, იმუშავებს დაძაბულად და ეფექტიანად. აი რატომ არის, რომ დღეს პარტიული ორგანიზაციების მეცადინეობა უნდა მოხმარდეს ინიციატივის განვითარებას, შრომისადმი, როგორც უპირველესი საზოგადოებრივი მოვალეობისადმი, შეგნებული დამოკიდებულების ფორმირებას.

ამას ხელი უნდა შეუწყოს მორალური წახალისების ფორმების სრულყოფამ, მატერიალური სტიმულირების გაუმჯობესებამ. ალბათ ყველასათვის ნათელია, როგორ ვნებს საქმეს ჯერ კიდევ გაბატონებული „გათანაბრება“, როცა სრული უყურადღებოდ შრომა და უხეირო მუშაობა ნაწილურდება პრაქტიკულად ერთნაირად, როცა კარგიც და დაუდევარი მუშაკიც თანაბრად სარგებლობს სოციალური სიკეთით. „თითოეულისაგან — უნარის მიხედვით, თითოეულს — შრომის მიხედვით“ — ასეთია სოციალიზმის ძირითადი პრინციპი, იგი გამოხატავს ჩვენი საზოგადოებრივი წყობილების სოციალური სამართლიანობის არსს. პარტია მოითხოვს განუხრელად განხორციელდეს იგი.

სამართლიანობის პრინციპით გამსჭვალულია სოციალური პოლიტიკის ყველა მხარე, და ეს შეეხებამება მთლიანად საზოგადოების, ყველა კეთილსინდისიერი შრომელის ინტერესებსაც. ასეთი მიდგომა უნდა უზრუნველვყოთ ყველაფერში — საქმე ეხება შრომის რაოდენობისა და ხარისხისათვის წახალისებას თუ ბინის განაწილებას, იგი მოითხოვს შეურიგებლობას მუქთახორობის, მექრთამეობის, ყველა იმის წინააღმდეგ ბრძოლაში, ვინც დაადგა ჩვენი წყობილების შრომითი ბუნებისათვის უცხო გზას.

ამ პრინციპის განხორციელებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებენ მოხმარების საზოგადოებრივი ფონდები, რომელთა წილად უკვე ახლა მოდის გამოყენებული სიკეთის დაახლოებით მესამედი. მეთორმეტე ხუთწლედში მისი მოცულობა გაიზრდება 20-23 პროცენტით. პარტია აპირებს კვლავაც განახორციელოს მისი შემდგომი ზრდისა და უფრო ეფექტიანი გამოყენების ხაზი.

მნიშვნელოვან სოციალურ ამოცანათა შორისაა ბაზრის დაკმაყოფილება მრავალფეროვანი საქონლითა და მომსახურებით. უნდა შეკმნათ თანამედროვე მომსახურების სფერო, მოგსპოთ მკვეთრი დისპროპორცია მოხმარებასა და მიწოდებას შორის, უწინარეს ყოვლისა მომსახურების სფეროში, რომელზეც მოთხოვნილება განსაკუთრებით სწრაფად იზრდება. უნდა განვაგრძოთ მუშაობა კოლექტიური მებაღეობისა და მებოსტნეობის განვითარებისთვისაც, აღმოვფხვრათ ამ საქმეში ყველა ხელოვნური დაბრკოლება.

კვლავაც უნდა გაგზარდოთ საბინაო მშენებლობის მასშტაბები, გავაუმჯობესოთ ჩვენი ქალაქებისა და სოფლების დაგეგმარება, კეთილმოწყობა, არქიტექტურა. დიდ რეზერვებს შეიცავს კოოპერაციული და ინდივიდუალური ბინების, ახალგაზრდული საცხოვრებელი კომპლექსების მშენებლობის გაფართოება.

შრომის თვისებრივი გარდაქმნა მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის პირობებში ადიდებს მოთხოვნებს კადრების საგანმანათლებლო და პროფესიული მომზადებისადმი, დღის წესრიგში აყენებს უწყვეტი განათლების ერთიანი სისტემის შექმნას. ამ საქმეს უფრო ქმედითი სამსახური უნდა გაუწიოს სკოლის რეფორმამ, უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების დასახულმა გარდაქმნამ.

უპირველესი მნიშვნელობის საქმეა ადამიანების ჯანმრთელობის დაცვა და გაკაჟება, ჯანმრთელობის დაცვის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარების საკითხების, სხვა მომწიფეული პრობლემების გადაწყვეტა. საბჭოებმა, პროფკავშირებმა, კომკავშირმა მეტი ინიციატივა უნდა გამოიჩინონ და დაეყრდნონ მოსახლეობის თვითმოქმედებას ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებაში, თავისუფალი დროის გონივრულად და სასარგებლოდ გამოყენების ორგანიზაციაში.

საზოგადოებისა და ადამიანის ჯანმრთელობისათვის ქვეყანაში გაჩაღდა ბრძოლა ლოთობისა და ალკოჰოლიზმის წინააღმდეგ. იგი მტკიცედ უნდა განვაგრძოთ, რათა უზრუნველვყოთ საბოლოო გარდატეხა ჩამოყალიბებულ ჩვეულებაში.

სრულყოფას საჭიროებს ბუნების დაცვის, მისი რესურსების რაციონალური გამოყენების ორგანიზაციაც. ამ მიზნით უფრო აქტიურად უნდა გამოვიყენოთ მეცნიერულ-ტექნიკური მიღწევები, გავაუმჯობესოთ პროექტების ხარისხი, გავაძლიეროთ ეკოლოგიური აღზრდა.

მთავარ საზრუნავს შორისაა ოჯახის შემდგომი განმტკიცება, მშობელთა პასუხისმგებლობის გაძლიერება ბავშვების აღზრდისათვის, ქალის შრომისა და ყოფა-ცხოვრების პირობების გაუმჯობესება, რაც მას საშუალებას მისცემს წარმატებით შეუხამოს ერთმანეთს დედობა და შრომითსა და საზოგადოებრივ საქმიანობაში აქტიური მონაწილეობა. ჩვენი ვალია ვიზრუნოთ ომისა და შრომის ვეტერანებისათვის, ხელი შევუწყოთ მათს უფრო ფართო მონაწილეობას სამეურნეო და საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში.

თავისი ეროვნული პოლიტიკის ლენინური პრინციპების ერთგული საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია კვლავაც დაუცხრომლად განამტკიცებს საბჭოეთის ხალხთა ძმურ მეგობრობას, აღზრდის შრომელებს საბჭოთა პატრიოტიზმისა და ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით. იჩენს რა განსაკუთრებულ გულისხმიერებასა და სიფრთხილეს ყველაფერში, რაც ეხება ეროვნული ურთიერთობის განვითარებას, პარტია დროულად გადაწყვეტს წამოჭრილ საკითხებს, პრინციპულ ბრძოლას აწარმოებს ნაციონალიზმისა და შოვინიზმის, კუთხურობის ყოველგვარი გამოვლინების წინააღმდეგ.

სკკპ XXVII ყრილობის მიერ მოწონებულ სოციალურ პოლიტიკას ერთსულოვნად უჭერენ მხარს საბჭოთა ადამიანები. ახლა მთავარია უთუოდ განვახორციელოთ იგი. წარმატება მნიშვნელოვანწილად დამოკიდებული იქნება კადრების სოციალურ ორიენტირებაზე, პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო ორგანიზაციების, თითოეული ხელმძღვანელის სიმტკიცესა და ინიციატივაზე. ყრილობამ მოგვიწოდა უზრუნველვყოთ დაგეგმვისა და მართვის ორგანოების, ცენტრალური და ადგილობრივი ორგანიზაციების მტკიცე შემობრუნება სოციალური სფეროს მოთხოვნილებებისაკენ, გავაძლიეროთ ეკონომიკის, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის განვითარების სოციალური ორიენტაცია. სოციალური პროგრამის რეალიზაცია უნდა იყოს ჩვენი პრესის წამყვანი თემა.

ეს არის ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარების იმ ამოცანების წარმატებით გადაწყვეტის საწინდარი, რომლებიც პარტიამ დაგვისახა.

ПРАВДА
17 მარტის მოწინავე

საქმეზეა სალაპარაკო

ორბიტაზეა „მირ“ — „სოიუზ ტ-15“

ჰილოტირებული კომპლექსი

1986 წლის 15 მარტს მოსკოვის დროით 16 საათსა და 38 წუთზე „სოიუზ ტ-15“ კოსმოსური ხომალდი შეუპარაპირდა სამეცნიერო სადგურ „მირს“. შესაპირაპირებელი კვანძის ჰერმეტულობის შემოწმების შემდეგ კოსმონავტები ლეონიდე კიზიმი და ვლადიმერ სოლოვიოვი სადგურში გადავიდნენ.

ეკიპაჟის ფრენის პროგრამით გათვალისწინებულია სადგურ „მირის“ განკონსერვება, მისი კონსტრუქციის ელემენტების, საბორტო სისტემების გამოცდა, აგრეგატებისა და აპარატურის გამართვა და გაწყობა. ეს სამუშაოები განხორციელდება იმ მიზნით, რომ სადგური, როგორც საბაზო ბლოკი, მოამზადონ სამეცნიერო და სახალხო-სამეურნეო დანიშნულების სპეციალიზებული მოდულებით შემდგომში მუდმივმოქმედი პილოტირებული კომპლექსის შექმნისათვის.

ტელემეტრიული ინფორმაციის მონაცემებით, სადგურ „მირისა“ და „სოიუზ—ტ-15“ ხომალდის საბორტო სისტემები ნორმალურად მუშაობს.

ამჟამად დედამიწისირგვლივ კოსმოსურ სივრცეში დაფრინავს ორი ორბიტული კომპლექსი: „მირ“ — „სოიუზ ტ-15“ — პილოტირებული რეჟიმით და „სალუტ-7“ — „კოსმოს-1686“ — ავტომატური რეჟიმით.

ამხანაგები კიზიმი და სოლოვიოვი ჯანმრთელად არიან და თავს კარგად გრძნობენ.

ფრენის მართვის ცენტრი, 15 მარტი. (საკდესი). მეორე დღეა დედამიწისირგვლივ ორბიტაზე ფუნქციონირებს „მირ“ — „სოიუზ ტ-15“ პილოტირებული კომპლექსი.

დასახული პროგრამის შესაბამისად კოსმონავტები ლეონიდე კიზიმი და ვლადიმერ სოლოვიოვი ასრულებენ პილოტირებული ფრენის რეჟიმზე სადგურის გადაყვანის ოპერაციებს. ისინი, კერძოდ, ახორციელებენ სიცოცხლის უზრუნველყოფისა და თერმორეგულირების სისტემების განკონსერვებას, ამოწმებენ რადიოტექნიკური საშუალებების ფუნქციონირებას, მოწყობილობისა და აპარატურის მდგომარეობას.

სადგურ „მირის“ საცხოვრებელ ნაკვეთურებში შექმნილია დედამიწისეულთან დაახლოებული პირობები: ტემპერატურა ცელსიუსით 24 გრადუსია, წნევა — ვერცხლისწყლის სვეტის 860 მილიმეტრი.

ტელემეტრიული ინფორმაციის მონაცემებით და ეკიპაჟის მოხსენებების მიხედვით, „მირ“ — „სოიუზ ტ-15“ პილოტირებული კომპლექსის ფრენა ნორმალურად მიმდინარეობს. ამჟამად მისი ორბიტის პარამეტრებია:

— მაქსიმალური მანძილი დედამიწის ზედაპირიდან — 354 კილომეტრი;

— მინიმალური მანძილი დედამიწის ზედაპირიდან — 332 კილომეტრი;

— გარშემოვლის პერიოდი — 91,2 წუთი;

— დახრილობა — 56,6 გრადუსი.

კოსმონავტები ლეონიდე კიზიმი და ვლადიმერ სოლოვიოვი ჯანმრთელად არიან და თავს კარგად გრძნობენ.

ირა გოგებაშვილი ხუთიათასიანელია

გარდაბნის რაიონის თელეთის ექსპერიმენტული მეურნეობა-ტექნიკუმის მწველავმა, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა ირა გოგებაშვილმა სკკპ XXVII ყრილობისადმი მიძღვნილ სოციალისტურ შეჯიბრებაში დიდ წარმატებას მიაღწია. მოსავლელად მიჩენილი პირუტყვის თითოეული ძროხიდან ხუთი ათას კილოგრამზე მეტი რძე ჩამოწველა. ეს მაჩვენებელი ჩვენი რესპუბლიკის მეცხოველეებისათვის, ზოგიერთის გამოკლებით, უჩვეულოა.

ირა გოგებაშვილი არჩეული პროფესიის ერთგულია, სისტემატურად სწავლობს და სხვებსაც ახწავლის პირუტყვის მოვლის თანამედროვე ტექნოლოგიას, მტკიცედ იცავს შრომისა და საშემსრულებლო დისციპლინას, რამაც მოკლე დროში მოწინავე პოზიციებზე გაიყვანა.

სარძეო-სასაქონლო ფერმაში სპეციალურ სტენდზე გამოკრულია მოწინავე მწველავის მიერ თითოეული ძროხიდან მოწველილი რძის მატების დინამიკის ამსახველი ციფრები წლების მანძილზე. აი ისიც:

1981 წელს — ფერმაში მოსვლის პირველი წელი — 2.500 კილოგრამი, 1982 წელს — 3.000 კილოგრამი, 1983 წელს — 3.500 კილოგრამი, 1984 წელს — 4.519 კილოგრამი, 1985 წელს — 5.060 კილოგრამი.

აი სწორედ ამას ჰქვია მეტყველი, უკომენტარო ციფრები, მაგრამ კომენტარი მაინც გვაქვს. შარშან მიღებული რძის 86 პროცენტი პირველი ხარისხისა და მაღალი ცხიმიანობისა იყო.

ალბათ ყველას დაებადება ტრაფარეტული კითხვა — როგორ მიაღწია მწველავმა ამას?

ირა გოგებაშვილმა დამთავრა თუ არა საშუალო სკოლა, მეურნეობა-ტექნიკუმის დირექტორს ეწვია და განცხადება გადასცა — გთხოვთ, მიმიღოთ, მწველავობას შევძლებ, არ შევარცხვენ კომკავშირელის სახელს, ენერგიის დაუზოგავად ვიმუშავებო.

მონდომებით ჩაება ქალიშვილი შრომაში. ინდივიდუალურად შეისწავლა თითოეული ძროხის, ახე ვთქვათ, „ხასიათი“. უკვე ერთ თვეში ითვისა პირუტყვის მოვლის ყველა ხერხი. დარწმუნდა, რომ უხვ ნაწველს ვერ მიიღებ, თუ ძროხებს გულმოდგინედ არ მოუარე, თუ საკვები უყათიანი არ იქნა და კვების რეჟიმი და საკვების ნორმა მკაცრად არ დაიცავი.

ირას ფერმის შესასვლელთან შევხვდით. იგი გაფაციცებით გასცქეროდა იმ მხარეს, საიდანაც საკვები უნდა მოეტანათ.

— პირუტყვის კვების თუნდაც რამდენიმე წუთით დაგვიანება რძის დიდ დანაკარგს იწვევს, — გვიხსნის იგი. —

ამიტომაც, როგორც ყველა ირიიერაციენს, ირა უკვე ფერმაში — საწველ მოედანზეა. საღამოს კი გვიან ბრუნდება შინ. შრომისმოყვარე ოჯახში აღზრდილმა და ბავშვობიდანვე შრომას შეჩვეულმა თავისი გულმოდგინებით, საქმისადმი სერიოზული დამოკიდებულებით თანამოსაქმეებში ავტორიტეტი და პატივისცემა მოიპოვა. როცა ქალიშვილმა პირველ წარმატებას მიაღწია, მას შემდეგ ყოველდღიურად ზრდიდა შრომითს მაჩვენებლებს და ბრიგადირმა ნ. ხარაძემ წინადადება წამოაყენა მისი ორგოლურად დაწინაურების შესახებ. მისი მარბილერმა, [illegible] — [illegible] — [illegible] —

18 მარტი აჭარაში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების დღეა

ფლოტის ეფექტიანობა

ქვეყნის სახალხო მეურნეობის განვითარებაში დიდი როლი აკისრია საზღვაო ტრანსპორტს. იგი უზრუნველყოფს ეკონომიკურ კავშირს როგორც რესპუბლიკებს შორის, ასევე უცხოეთის ქვეყნებთან. როგორ დაამთავრა მეთერთმეტე ხუთწლედი საქართველოს საზღვაო სანაოსნომ, მეთორმეტე ხუთწლედში რა პრობლემებია გადასაჭრელი, სკკპ XXVII ყრილობის გადწყვეტილებათა შესაბამისად როგორ ფიქრობენ მუშაობის წარმართვას? აი, კითხვები, რომლებიც ჩვენმა კორესპონდენტმა დაუსვა სკკპ XXVII ყრილობის დელეგატს, საქართველოს საზღვაო სანაოსნოს უფროსს ჯემალ ჭილავარიას.

საქართველოს საზღვაო სანაოსნო ქვეყნის მონათესავე სანაოსნოთა შორის ყველაზე ახალგაზრდაა, მაგრამ ამასთან ერთ-ერთი მოწინავეც არის, — თქვა ჯ. ჭილავარიამ. — გემები, რომლებიც ამჟამად საქართველოს ალმით დაცურავენ, მსოფლიოს ორმოცდაათამდე ქვეყნის ასორმოცდაათ ნავსადგურში შედიან. ყოველწლიურად იზრდება სანაოსნოს ეკონომიკური პოტენციალი და ტვირთამწეობა. ამჟამად ჩვენს განკარგულებაშია 800 ათასი ტონა წყალწვის 52 გემი. საქართველოს ნავსადგურები ყოველწლიურად სხვადასხვა ქვეყნის ასობით სატვირთო და სამგზავრო ხომალდს ემსახურებიან. ამას ემატება მილიონობით მგზავრი, რომლებიც ბათუმის, ფოთისა და სოხუმის ნავსადგურებში სარგებლობენ მცირეტონაჟიანი ფლოტით.

ეკონომიკური თვალსაზრისით სანაოსნო დიდ ფუნქციას ასრულებს. მან მეთერთმეტე ხუთწლედის დავალება ყველა ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლის მიხედვით 1985 წლის აგვისტოში შეასრულა, ხოლო ნავსადგურებში გემების დაშუშავების გეგმა — 107,3 პროცენტით. წლის ბოლომდე გეგმის გადამეტებით დავამუშავეთ 2 მილიონ ტონაზე მეტი საექსპორტო-საიმპორტო და საკაბოტაჟო ტვირთი. არ ყოფილა კვარტალი ან წელიწადი, საკვებირო სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩვენი რამდენიმე ხომალდი გამარჯვებული არ გამოსულიყოს. ხოლო საკავშირო გარდამავალი წითელი დროშა განვლილ 19 წელიწადში სანაოსნომ შვიდჯერ დაიმსახურა.

როგორ აღწევდა წარმატებას ახალგაზრდა სანაოსნო? ლენინგრადელთა ცნობილ თაოსნობას ტრანსპორტელთა შეწყობილი მუშაობის თაობაზე საქართველოს საზღვაო სანაოსნო ერთ-ერთი პიონერი გამოეხმაურა. შედეგიც შესანიშნავი მივიღეთ. ასობით გემი ვადამდე დავამუშავეთ, რამაც დიდი ეკონომიკური მნიშვნელობა შეიძინა. ნავსადგურები აღიჭურვა ახალი ტექნიკით. მინიმუმამდეა დაყვანილი ხელის შრომა. 1967 წელთან შედარებით საზღვაო ფლოტის ტვირთამწეობა ცხრაჯერ გაიზარდა. შარშან შემოგვემატა რამდენიმე ახალი ხომალდი: „კაპიტანი ანატოლი კაჭარავა“, „ევგენი ვახტანგოვი“, „ნატო ვაჩნაძე“, „ნოდარ დუმბაძე“.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1985 წლის აპრილის პლენუმის გადაწყვეტილებანი ითვალისწინებს საწარმოთა ტექნოლოგიურ განახლებას, შრომის ნაყოფიერების ზრდას, ხარისხის გაუმჯობესებას, შრომის დისციპლინის განმტკიცებას. ამ მხრივ ჩვენი სანაოსნოს საწარმოებში ბევრი რამ კეთდება. კარგად დავიწყეთ 1986 წელი. პარტიის XXVII ყრილობას სწორედ მისი გახსნის დღეს — 25 თებერვალს ვუპატაკეთ იანვარ-თებერვლის გეგმის შესრულება. თებერვლის ბოლო ორი დღე დაზოგილი რესურსებით ვიმუშავეთ.

დიდ საქმეს დიდი სიძნელეებიც ახლავს. სანაოსნოში არის რთული პრობლემები, გადასაწყვეტი საკითხები. ყველა გემი დროულად და მაღალხარისხოვნად ვერ მუშაობს. შარშან, მაგალითად, 2 პროცენტით შემცირდა საბალკერო ფლოტის მწარმოებლობა. ვერ შეეასრულეთ ვერც მოგების, ვერც მგზავრთა გადაყვანის გეგმა. ეს კი უარყოფითად დაიჩნდა ჩვენს ეკონომიკურ მაჩვენებელს. სანაოსნოს არა აქვს საკუთარი სანაოსნო ბაზა. გემების სხვის ქარხნებში გარემონტებისას კი მრავალგვარ წინააღმდეგობას ვაწყდებით, ვაგებთ დროს, არ გვაკმაყოფილებს რემონტის ხარისხიც.

გზადაგზა სხვა სიძნელეებსაც ვხვდებით. გემების მოსამზადებლად სათადარიგო ნაწილები არ გვყოფნის. ზოგჯერ გემის მომზადებაც არ არის სრულყოფილი. არის შრომის დისციპლინის, მეზღვაურის შინაგანაწესის დარღვევის შემთხვევები. მეტი მუშაობა გვმართებს პირად შემადგენლობასთან.

სკკპ XXVII ყრილობისადმი სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკურ მოხსენებაში ამხ. მ. ს. გორბაჩოვმა ნათლად ჩამოაყალიბა ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარების ამოცანები. მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დანერგვას, ძველი ეკონომიკური სტრუქტურის გარდაქმნას, მართვის ეფექტიანი ფორმების გამონახვასა და დანერგვას ფლოტშიც გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. ასეთი გლობალური საკითხების გადაწყვეტაში, რა თქმა უნდა, მნიშვნელოვანი წვლილი უნდა შეიტანონ საზღვაო ფლოტმა, მისმა საწარმოებმა და სამსახურებმა.

ყირიმის მუშაობის დღეებში შევხვდი სსრ კავშირის საზღვაო ფლოტის მინისტრს ამხ. ტ. გუქენკოს, ვილაპარაკეთ იმ ამოცანებზე, საქართველოს სანაოსნოს მშრომელებმა რომ უნდა გადაწყვიტონ.

ყირიმიდან დელეგატები ღრმა შთაბეჭდილებებით და დასახული ამოცანების გადაწყვეტისათვის შემართული დავბრუნდით.

მეზღვაურებთან, შრომითს კოლექტივებთან შეხვედრისას, ერთხელ კიდევ ვიმსჯელეთ ჩვენს შესაძლებლობებზე, იმ გეგმებზე, რომლებიც პარტიამ დაგვისახა. დრო ახლა ისე ძვირფასი და საშური, როგორც არასდროს. მეთორმეტე ხუთწლედში, რომელიც საეტაპო გახდება ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარების საქმეში, ახალი სიტყვა უნდა თქვას საქართველოს საზღვაო სანაოსნოს კოლექტივმაც. ფლოტის ტვირთამწეობა 3 პროცენტით უნდა გაიზარდოს, ხოლო საზღვარგარეთ ნაოსნობის ტემპი — 10 პროცენტით. საამისოდ შევიმუშავეთ საორგანიზაციო-ტექნიკური ღონისძიებების გეგმა. იგი ითვალისწინებს წარმოების ინტენსიფიკაციას. ახალი ტექნიკისა და ტექნოლოგიის დანერგვას, შიგარეზერვების ამოქმედებას, რაციონალიზატორთა და გამომგონებელთა წვლილის გაზრდას.

ბათუმის ხის დამმუშავებელი კომბინატის კოლექტივი საკმაოდ დიდი და საინტერესო შრომითი საქმიანობით გამოირჩევა. აქ დამზადებული ავეჯი განსაკუთრებული მოწონებით სარგებლობს. კომბინატი უშვებს შეწებილ ფანერას, ხოლო ნარჩენებისაგან წელიწადში 300 ათასი მანეთის პროდუქციას ამზადებს.

ხის დამმუშავებელი კომბინატის კოლექტივმა იმთავითვე კარგად გაიგო წარმოების წინაშე დასმული ამოცანა. სწორედ ამ მიზნით აქ ჯერ კიდევ მეცხრე ხუთწლედში აიღეს საავეჯო წარმოების სპეციალიზაციის კურსი. კომბინატი მეცხრე ხუთწლედში უშვებდა სხვადასხვა სახეობის ავეჯს — წიგნის თაროს, ტანსაცმლის კარადას, ცალკეულ ნაკეთობებს სამზარეულოსათვის. სპეციალიზაციის შემდეგ კომბინატი უშვებს მხოლოდ სამზარეულო ავეჯის გარნიტურებს: სპეციალიზაციამ საშუალება მისცა კოლექტივს დაეხვეწა ტექნოლოგია, რაციონალურად გამოეყენებინა არსებული მოწყობილობანი და საწარმოო ფართობი.

ამჟამად კომბინატში 24 კომპლექსური ბრიგადა მუშაობს. ბრიგადები დღეისათვის შრომის ორგანიზაციის ახალი მეთოდით შრომობენ. მეთერთმეტე ხუთწლედის დამამთავრებელ წელს მოხდა ბრიგადების გამსხვილება, რამაც კიდევ უფრო მობილური გახადა მათი მუშაობა. კომპლექსურმა ბრიგადებმა, რომელთაც კომუნისტები ვეხები ნაგერეაძე, რევაზ ბურდგლა, მურად ჩიჩაგუა, მედეა მოგელაძე და იური ახვლედიანი ხელმძღვანელობენ, შარშან მაისში შეასრულეს მეთერთმეტე ხუთწლედის საწარმოო დავალებები და მას შემდეგ მეთორმეტე ხუთწლედის ანგარიშში შრომობენ.

მეავეჯეთა კოლექტივი 1980-1983 წლებში სისტემატურად ჯილდოვდებოდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს, საქართველოს პროფსაბჭოს და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშებით. 1984 წელს, კომბინატის ისტორიაში პირველად, კოლექტივი დაჯილდოვდა საკავშირო გარდამავალი წითელი დროშით. ახალი სამზარეულო ავეჯის დამზადების ტექნოლოგიის დანერგვისათვის კომბინატის კოლექტივმა მრავალი ტექნიკური სირთულე დაძლია და საკუთარი ძალებით შექმნა 18 არასტანდარტული შოწყობილობა, 3 კონვეიერი და სხვა. ამ ამოცანების სასიკეთოდ გადაწყვეტაში მთავარი როლი კოლექტივის ინჟინერ-ტექნიკურმა პერსონალმა შეასრულა.

უკანასკნელ წლებში მეავეჯეებმა აითვისეს მუშაობის მრავალი ახალი მეთოდი. ბათუმის კომბინატის მუშაკთა ყაირათიან შრომაზე მიუთითებს შემდეგი ფაქტები: 1978 წელს სამზარეულო ავეჯის გარნიტურს „მიდის“ სახელმწიფო ხარისხის ნიშანი მიენიჭა. 1981 წლიდან საპატიო ხუთკუთხედით გამოდის ახალი გარნიტური „მაქსი“, ხოლო 1984 წლიდან კიდევ ერთი სამზარეულო ავეჯის გარნიტურს „აჭარას“ შენიშვნა „საუკეთესო ხარისხის ნიშანი.

საერთოდ, ბათუმრმა ავეჯმა, კერძოდ, ხის დამმუშავებელი კომბინატის და ბამბუკის ფაბრიკის ნაწარმმა, შორს გაითქვა სახელი. სამზარეულო ავეჯის გარნიტურებმა „მიდიმ“, „აჭარამ“ და ბამბუკისაგან დამზადებულმა „გონიომ“ მაღალი შეფასება დაიმსახურეს. სწორედ ამან განაპირობა, რომ ბათუმში ჯავახიშვილის ქუჩაზე 1985 წელს გაიხსნა ავეჯის საგამოფენო სახლი...

კომბინატის მთელი კოლექტივი, განსაკუთრებით მისი ხელმძღვანელი მუშაკები ცდილობენ კომბინატის მუშებს შეუქმნან ნორმალური შრომის ყველა პირობა, ზრუნავენ მათი საცხოვრებელი ბინებისათვის. კომბინატს აქვს შესანიშნავი ბაგა-ბაღი. რეკონსტრუირებულია და საექსპლოატაციოდ გადაეცა 140-კაციანი მუშათა სასადილო, სულ მალე ბათუმელ კომბინატელებს ექნებათ ახალი სპორტული კომპლექსი და კლუბი, რომელთა მშენებლობა დასასრულს უახლოვდება.

ა. დოხნაძე.

სკკპ XXVII ყრილობა, რომელმაც სახალხო მეურნეობის განვითარების გრანდიოზული გეგმები დაგვისახა, უკვე ისტორიის კუთვნილებად იქცა. განსაკუთრებით დიდი და საპატიო ამოცანების წინაშე დგანან ყრილობის დელეგატები. და ეს არც არის გასაკვირი: სწორედ მათ, როგორც ღირსსახსოვარი ფორუმის მონაწილეებმა, უნდა მიიტანონ პარტიის პირუთვნელი სიტყვა თანამოსაქმეებში, შრომითს კოლექტივებში, ოჯახში, მეგობრებთან...

სურათზე: სკკპ XXVII ყრილობის დელეგატი — შუახევის რაიონის სოფელ ოლადაურის კ. მარქსის სახელობის კოლმეურნეობის მეთამბაქოე ნათელა ფუტკარაძე (მარცხნიდან პირველი) ყრილობაზე მიღებულ შთაბეჭდილებებს უზიარებს ქობულეთის რაიონის მუხანესტატეს ს. კიროვის სახელობის მეციტრუსეობის საბჭოთა მეურნეობის მერგოლურს ნანული ფუტკარაძეს, სოფელ ხალას ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის მეჩაიეს ლილი კონცელიძეს და ხულის რაიონის სოფელ ჩაოს ს. ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის მეთამბაქოეს ნათელა ლაბაძეს.

ვ. გენგიურის ფოტო.

ბათუმელ კომბინატელთა თვალსაზრისი

ხარისხის ეტალონები

უფელავათო

დოდა საკავშირო გარდამავალი წითელი დროშით. ახალი სამზარეულო ავეჯის დამზადების ტექნოლოგიის დანერგვისათვის კომბინატის კოლექტივმა მრავალი ტექნიკური სირთულე დაძლია და საკუთარი ძალებით შექმნა 18 არასტანდარტული შოწყობილობა, 3 კონვეიერი და სხვა. ამ ამოცანების სასიკეთოდ გადაწყვეტაში მთავარი როლი კოლექტივის ინჟინერ-ტექნიკურმა პერსონალმა შეასრულა.

უკანასკნელ წლებში მეავეჯეებმა აითვისეს მუშაობის მრავალი ახალი მეთოდი. ბათუმის კომბინატის მუშაკთა ყაირათიან შრომაზე მიუთითებს შემდეგი ფაქტები: 1978 წელს სამზარეულო ავეჯის გარნიტურს „მიდის“ სახელმწიფო ხარისხის ნიშანი მიენიჭა. 1981 წლიდან საპატიო ხუთკუთხედით გამოდის ახალი გარნიტური „მაქსი“, ხოლო 1984 წლიდან კიდევ ერთი სამზარეულო ავეჯის გარნიტურს „აჭარას“

ბათუმის ხის დამმუშავებელი კომბინატის კოლექტივი საკმაოდ დიდი და საინტერესო შრომითი საქმიანობით გამოირჩევა. აქ დამზადებული ავეჯი განსაკუთრებული მოწონებით სარგებლობს. კომბინატი უშვებს შეწებილ ფანერას, ხოლო ნარჩენებისაგან წელიწადში 300 ათასი მანეთის პროდუქციას ამზადებს.

ხის დამმუშავებელი კომბინატის კოლექტივმა იმთავითვე კარგად გაიგო წარმოების წინაშე დასმული ამოცანა. სწორედ ამ მიზნით აქ ჯერ კიდევ მეცხრე ხუთწლედში აიღეს საავეჯო წარმოების სპეციალიზაციის კურსი. კომბინატი მეცხრე ხუთწლედში უშვებდა სხვადასხვა სახეობის ავეჯს — წიგნის თაროს, ტანსაცმლის კარადას, ცალკეულ ნაკეთობებს სამზარეულოსათვის. სპეციალიზაციის შემდეგ კომბინატი უშვებს მხოლოდ სამზარეულო ავეჯის გარნიტურებს: სპეციალიზაციამ საშუალება მისცა კოლექტივს დაეხვეწა ტექნოლოგია, რაციონალურად გამოეყენებინა არსებული მოწყობილობანი და საწარმოო ფართობი.

ამჟამად კომბინატში 24 კომპლექსური ბრიგადა მუშაობს. ბრიგადები დღეისათვის შრომის ორგანიზაციის ახალი მეთოდით შრომობენ. მეთერთმეტე ხუთწლედის დამამთავრებელ წელს მოხდა ბრიგადების გამსხვილება, რამაც კიდევ უფრო მობილური გახადა მათი მუშაობა. კომპლექსურმა ბრიგადებმა, რომელთაც კომუნისტები ვეხები ნაგერეაძე, რევაზ ბურდგლა, მურად ჩიჩაგუა, მედეა მოგელაძე და იური ახვლედიანი ხელმძღვანელობენ, შარშან მაისში შეასრულეს მეთერთმეტე ხუთწლედის საწარმოო დავალებები და მას შემდეგ მეთორმეტე ხუთწლედის ანგარიშში შრომობენ.

მეავეჯეთა კოლექტივი 1980-1983 წლებში სისტემატურად ჯილდოვდებოდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს, საქართველოს პროფსაბჭოს და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშებით. 1984 წელს, კომბინატის ისტორიაში პირველად, კოლექტივი დაჯილ-

ფლოტის ეფექტიანობა

ყურადღება: გამოცდილება

აქეთ—ადამიანისაკენ!

სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროს და სსრ კავშირის სახელმწიფო განის სნოგა

1986 წელს მშვიდობის საერთაშორისო წლის მოწყობასთან დაკავშირებით მიმოქცევაში სამახსოვრო მონეტის გამოშვების შესახებ

1986 წლის 18 მარტს მიმოქცევაში გამოდის 1 მანეთის ღირებულების სამახსოვრო მონეტა 1986 წელს მშვიდობის საერთაშორისო წლის მოწყობასთან დაკავშირებით.

1 მანეთის ღირებულების სამახსოვრო მონეტა მზადდება თეთრი ფერის სპილენძ-ნიკელის შენადნობისაგან და აქვს 31 მილიმეტრი დიამეტრის წრის ფორმა.

მონეტის შუბლისა და უკანასტარის წრეწირზე გამოშვერილი კანტია.

მონეტის შუბლზე გამოსახულია სსრ კავშირის სახელმწიფო გერბი და წარწერილია „სსრკ“, „1 მანეთი“ და „1986“.

მონეტის უკანასტარზე ცენტრში მშვიდობის საერთაშორისო წლის ემბლემის რელიეფური გამოსახულებაა, ხოლო წრეწირზე წარწერილია **„მშვიდობის საერთაშორისო წელი“.**

მონეტის ზედაპირზე არის ორი ჩაღრმავებული წარწერა **„ერთი მანეთი“**, რომლებიც გამოყოფილია ორი წერტილით.

სამახსოვრო მონეტა, რომელიც მიმოქცევაში გამოდის 1986 წელს მშვიდობის საერთაშორისო წლის მოწყობასთან დაკავშირებით, ამჟამად მიმოქცევაში არსებულ მონეტებთან ერთად სავალდებულოა მიიღოს სახელმწიფო, კოოპერაციულმა, საზოგადოებრივმა საწარმოებმა, დაწესებულებებმა, ორგანიზაციებმა, კოლმეურნეობებმა და ცალკეულმა პირებმა ყოველგვარი ფულადი გადასახდელებისას, აგრეთვე ბანკებმა, შემნახველმა სალაროებმა და კავშირგაბმულობის სამინისტროების საწარმოებმა მიმდინარე და ანგარიშწორების ანგარიშებზე ჩარიცხვისათვის ანაბრებად, აკრედიტივებად და გზავნილებად ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე.

სურათზე: სამახსოვრო მონეტის შუბლი და უკანასტარი.

საკმეურ-საქინფორმის ტელეფოტო.

დაჯილდოება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით:

საპელვიფლი უშიშროების ორგანოებში ხანგრძლივი უმწიკვლო სამსახურისა და აქტიური საზოგადოებრივი მუშაობისათვის გენერალ-მაიორი იოსებ ზაქარიას ძე **ბეტკაძეს** დაჯილდოდა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

რაც მართალია, მართალია: თბილისის 160-ე სკოლის მერვე კლასი მთლიანად გადავიდა № 36 პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებელში. გადავიდა ფრიადოსან-ჩამორჩენილებიანა, ურჩ-გამგონიანა. მაინც, რამ მიიზიდა და დაამკვიდრა ისინი პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებელში, რომელიც არცთუ იოლი და დღესდღეობით არცთუ დიდად პრესტიჟიანი პროფესიებით ამზადებს ყმაწვილებს? აქედან გამოდიან ფეიერები, მჭსოველები, მრთველები, მეტრიკოტაჟე მკერავები, დაზგების შემკეთებლები (ეს ბიჭებისთვის არის)...

ვაკვირდები, ვუდარებ ერთმანეთს ყოველივეს, და იმ დასკვნამდე მივდივარ, რომ ნიადაგი მადლიანიც გამოდგა და კარგად მომზადებულიც. სასწავლებელი პოპულარული ბოლეტენიაა. 1980 წელს მას ლენინური კომკავშირის პრემია მიენიჭა. საუცხოო თვითმოქმედი კოლექტივები ჰყავს. მოპოვებული აქვს ჯილდოები რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის მეწინავეთა გამოფენაზე ტრადიციულ ეროვნულ ხელობათა აღორძინებისათვის. 14-ჯერ დაიკავა პირველი ადგილი სხვადასხვა სახეობის სპორტში ნებაყოფლობითი სპორტული საზოგადოება „შრომითი რეზერვების“ ასპარეზობებზე...

და მაინც... რაც უნდა ილაპარაკონ, რაც უნდა უჩიჩინონ დიდებმა, ყმაწვილები ყველაფერს თავად გადაამოწმებენ. ზოგიერთ ავტორიტეტს ყველაზე მეტად უჭირს გაუძლოს სწორედ ამ უჩუმარ შემოწმებას „შიგნიდან“. № 36 სასწავლებელი — უძლებს.

ხალხური სიმღერისა და ცეკვის ანსამბლის რეპეტიციებზე შევამჩნევ ბიჭუნა, რომელიც ჩინებულად აწყობდა სალამურზე „ქართულის“ მელოდიას. აღმოჩნდა, რომ რამაზი 181-ე სკოლის მეშვიდეკლასელი ყოფილა. რეპეტიციებზე, საღამოებზე, წრეებში, წვრთნაზე, სახელოსნოებშიც და კლასებშიც კი შეხვდებით მეზობელი სკოლებიდან მოსულ ბავშვებს. სასწავლებლის კარი ღიაა მათთვის. მობრძანდით, გაშინაურდით. აი, რამაზიც დარწმუნებულია: მერვე კლასის შემდეგ სწორედ აქ, 36-ე სასწავლებელში გადმოვა. ალბათ, მისი თვალსაზრისი ჩვენც დაგვეხმარება უკეთ მიეხვდეთ არაერთგზის გაგონილის არსს: „აქ სჯობია“, ნიშნავს: „ყველაფერი ისეა, როგორც სკოლაში, თანაც...“

მაშ მოდით, ჯერ ეს „თანაც“ გავიგოთ, რა არის. ჯერ ერთი, ეს არის პროფესია, რომელსაც ღიებ საშუალო განათლების მოწმობასთან ერთად, — განა ვინმეს ოდესმე მოსჭირბეგია რეალური ხელობა? მეორე, ეს არის უფასო კვება, სტიპენდია, და, რა თქმა უნდა, გამომუშავება საწარმოო პრაქტიკის დროს. უმრავლესობა თვეში 20-25 მანეთს იღებს, მაგრამ ბევრს 50-60-იც აქვს. ეს ხელფასი მარტოოდენ მშობლია ბიჭჯეტში შეტანილი წვლილი კი არა, დიდობის ნაბატრი შეგრძნებაც არის.

კეთილი, რაღას ნიშნავს „ყველაფერი ისეა, როგორც სკოლაში“? უჭირარეს ყოველისა, ეს გახლავთ ზოგადსაგანმანათლებლო საგნების სწავლების მაღალი დონე. სასწავლებელში უაღრესად სტაბილური და ძლიერი პედაგოგთა კოლექტივი ჩამოყალიბდა. ლუბა კეკელიძემ თბილისის უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტი დაამთავრა, ასმათ რაზმაძემ — ფილოსოფიისა. პირველი რუსულ ენასა და ლიტერატურას ასწავლის, მეორე — ესთეტიკას. დარწმუნებული ვარ, ისინი წარმატებით გაუძღვებოდნენ ამ საგნების სწავლებას უმაღლეს სასწავლებლებშიც, ისეთი მაღალი აქვთ ზოგადი კულტურის დონე, ისე ლაღად ფლობენ მასალას. ქიმიის ღიმ გაკვეთილებზე, რომლებსაც ეთერ არჩვაძე უძღვება, გამოცდილების შესასწავლად მოდიან თბილისის სკოლების პედაგოგები. პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის კურსდამთავრებული ვაკეთილი განათლება არ იძლევა დედაშვილური დამოკიდებულების გამოცდილებას, რომელიც ეთერ სოლომონიას აქვს. ეს არის მზრუნველობის, სიყვთის, სუსტის არდაჩაგვრინების გამოცდილება.

თვითონ ობლობაში გაატარა ბავშვობა, მრავალი წელი ზრდიდა ფასი და ორ ძმას. შემდეგ საფაბრიკო-საქარხნო სასწავლებელი დამთავრა. თუ როგორი მქსოველი დადგა, ამაზე ლაპარაკიც ზედმეტია. ერთმა პირველთაგანმა დაიწყო მუშაობა 24 დაზგაზე, მიიღო სოციალისტური შრომის გმირის წოდება. უმაღლესი სასწავლებლის დამთავრების შემდეგ ინჟინერი გახდა და აგერ უკვე მეცამეტე წელიწადია სასწავლებელს დირექტორობს. „სოლომონიას სახლი“ — ასე უწოდებენ თბილისში № 36 პროფტექნიკურ სასწავლებელს. სახლი დიდია, მოსწავლეთა რიცხვი 600-ს აღწევს, პედაგოგებისა და ოსტატებისა — 150-ს სჭარბობს. მაგრამ სწორედ სიმყუდროვე და ლაზათი, შინაურული გარემო, რომელსაც ხშირად ვერც კი გრძნობ, იხიდავს აქ ბავშვებს. ეს ლაზათი ყველაფერში იგრძნობა: იატაკზე დაგებულ მწვანე ხალიჩებსა თუ ფანჯრებში გამომდგარ ყვავილებში. და რაც მთავარია, — ურთიერთობაში.

ჩემ იქ ყოფნაში დირექტორი აცილებდა თვითმოქმედების მონაწილეებს, რომლებიც ვილნიუსში მიეშგზავრებოდნენ დათვალიერებაზე. სოლომონიას არ დაუწყია ბავშვებისთვის ჭკუის სწავლება, მივიდა ერთ გოგონასთან და უთხრა:

— თამუნა, ხომ გახსოვს, ახლახან ჰეპატიტი რომ გქონდა? ისიც გახსოვს, რისი ჭამაა მაწყინარი ყვითელას შემდეგ?

მოსწრებული შვილების რომელმა შობელმა არ იცის, რა გაღლის გამაწყალებლად გაუგრძელდებათ ხოლმე ყმაწვილს სკოლის უკანასკნელი წლები. ასეთია სიყმაწვილე. იგი მოითხოვს: გამოსცადე თავი. პროფტექნიკური სასწავლებელი იძლევა ამის შესაძლებლობას. მოწაფეები წარმოებაში მიდიან. მათ წინაშე იშლება ახალი ცნებების სამყარო, რომლებიც შენ უნდა აითვისო, და არა ყურმოკვრით: ბრიგადა, იჯარა, გეგმა, ხარისხი, ხელფასი. ტექნიკის სამყარო, მანქანების სამყარო, რომელიც უნდა შეიცნო და დაიმორჩილო.

რეალური საგნებისა და რეალური ურთიერთობის ასეთ მჭიდრო გარემოში მოქცევა თავისთავად უკვე ძლიერი აღმზრდელობითი ფაქტორია. გამოითხოვე აზრი — და იგი პასუხად აღენთება. გამოითხოვე პიროვნება — და ყრმის მალე დაჰკრავს მოწიფულობის ქარმი. მოწიფულობის საზომი ყოველთვის, თხუთმეტ-ჩვიდმეტი წლის ასაკშიც ერთია, — ეს არის მოქალაქეობრივი, შემოქმედებითი აქტიურობა. საქართველოს პროფტექგანათლების კომიტეტმა ხაზი გაუსვა ამას: ორ წელიწადში ერთხელ იგი სასწავლო-შემოქმედებითს კონფერენციას აწყობს. პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის მოსწავლეები მოხსენებებს წერენ სულ სხვადასხვა პრობლემაზე. და ფრიად ავტორიტეტული კომისიის სამსჯავროზე (კომისიაში შედიან თვალსაჩინო სპეციალისტები, აკადემიკოსები, საზოგადო მოღვაწენი) გააქვთ კონკრეტული რაციონალიზატორული წინადადებანი ან თეორიული მოსაზრებანი. № 36 სასწავლებლის მოსწავლენი ხალისით ეხმაურებიან ასეთ ასპარეზობებს. მომავალმა მქსოველმა შორენა იაკობიძემ, ერმელიც მონაწილეობდა „ფიზიკა და ჩვენი პროფესია“ სექციის მუშაობაში, გამოიკვლია ხმაურის პრობლემა საქსოვ საწარმოებში.

სასწავლებლის ძირითადი საბაზო საწარმოებია აბრეშუმის საწარმოო გაერთიანება და კამოელსართავი ფაბრიკა. თუ სასწავლებლის სახელოსნოს დაზგები დასჭირდა — საწარმო მიიწვიდა ისეთსავეს, როგორსაც საამქროში დგამს. თუ მშენებლობაში ან რემონტში დახმარება დასჭირდა — გამოუყოფს მასალასა და მუშახელს. როგორც უნდა იყოს, რაც შეეხება მატერიალურ მხარეს, საწარმო ყოველთვის იყო ბაზა. სწავლების ხარისხი, აღსაზრდელთა პროფესიული ზრდა, კურსდამთავრებულთა დამკვიდრება — ყოველივე ეს ამ ბოლო დრომდე ბევრს არ ანაღვლებდა პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის კედლებს მიღმა.

უკანასკნელ წლებში მუშახელის ნაკლებობამ საწარმოთა ადმინისტრაცია აიძულა მკვეთრად შეეცვალათ დამოკიდებულება პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლისადმი. ახლა საწარმო უბრალოდ ფოს ვერ გავა, თუ მისი პრაქტიკანტები არ ეყოლა. აბრეშუმის გაერთიანებაშიც და კამოელსართავ ფაბრიკაშიც დირექტორებმა, საამქროების უფროსებმა ჩემი თანდასწრებით სთხოვეს სოლომონიას, არდადეგებს დღეებშიც გამოგვიგზავნეთო მოსწავლეები. „იქნებ როგორმე მოგვიხერხოთ, თუნდაც მცოცავი გრაფიკით, ნაწილი მაინც. თორემ გეგმას ვერ ავუდიოვართ...“ პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებელი დღესაც ამზადებს არა უბრალოდ კადრებს, არამედ ყველაზე უკეთეს კადრებს. მოწინავეთა, აქტივისტთა 90 პროცენტს 36-ე სასწავლებლის კურსდამთავრებულნი შეადგენენ.

გაჩნდა შესაძლებლობა ვილაპარაკოთ პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლისა და საბაზო საწარმოს ურთიერთობის ახალ ნიშან-თვისებაზე. სოლომონიამაც მარჯვედ გამოიყენა ეს ნიშანთვისება. პედაგოგიურმა კოლექტივმა ითხოვა მოსწავლეებისთვის დამოუკიდებელი უბნები გადაიჭრა საბაზო საწარმოებთან სასწავლებლის ურთიერთობის პრობლემა, ჯერჯერობით, ცოტა არ იყოს, ნაადრევია. ყველგან, სადაც კი მივედით, დგებოდა ერთი და იგივე საკითხი: ყველა მოსწავლე როდი მკვიდრდება საწარმოში, როდი ეგუება წარმოებას.

კამოელსართავი ფაბრიკის დირექტორი ალტან კოლვა ჩიოდა, კურსდამთავრებულთა მნიშვნელოვანი ნაწილი უმაღლეს სასწავლებლებს ეტანებაო. სოლომონიამ არ დაუჭირა მხარი: ფრიადოსნებს ამის სრული უფლება აქვთ. უფრო მეტიც, თქვა მან, პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების კურსდამთავრებულებს (და არა მარტო ეგრეთ წოდებული დეფიციტური სპეციალობებით) უნდა მივცეთ უფლება სურვილისაბმრ მიიღონ უმაღლესი განათლება სასწავლებლის დამთავრებისთანავე. რატომ არის, რომ სკოლადამთავრებულ სამოსანს საბუთები შეაქვს უმაღლეს სასწავლებლებში და შეიძლება ჩაირიცხოს კიდეც, ხოლო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის ოთხოსან მოსწავლეს კი არ შეუძლია? თუ ლაპარაკია დაუსწრებელ სწავლებაზე, თანაც პროფილის მიხედვით, კარგი იქნებოდა რაღაც უპირატესობაც მოენიჭებინათ, ნატრობს სოლომონია.

ბოლოს და ბოლოს, თუ ერთმანეთს მიუმატებ საწარმოო პრაქტიკის მთელ საათებს, დღეებსა და თვეებს, გამოგვა დაახლოებით ორი წლის სერიოზული შრომა, რომელიც არაფრით არ განსხვავდება მოზრდილი მუშის შრომისაგან. რატომ არ უნდა ჩაითვალოს ეს წლები სტაჟში? პროფესიულ პროფილზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია. ვთქვათ, 36-ე სასწავლებლის ქალიშვილები და ჭაბუკები პრაქტიკულად უბრუნებენ სახელმწიფოს ვალს, უსტუმრებენ მათს სწავლებაზე გაღებულ ხარჯებს. უმაღლესი სასწავლებლებისთვისაც უპრიანი იქნება მიიღონ მუშური წრთობის მქონე სტუდენტები, მოწიფული ადამიანები, რომლებიც ცხოვრებასაც იცნობენ და ეწარმოებასაც.

— თანაც, — ამთავრებს თავის ხუთწლედის ბოლომდე ყველა გემი გადავა შრომის ორგანიზაციის ახალ ფორმაზე — შემცირებული ეკიპაჟითა და სამთვიანი ციკლით მუშაობაზე. განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა გემების დგომისა და სვლის დროის ეკონომიას, გემების დამუშავების ფაქტორს, გემების

ვეტერანი
ფაქტები • მოვლენები

მშვიდობის შუქურა

ჯეზოსლოვაკია. სკკპ XXVII ყრილობის მიერ მოწონებული მშვიდობის პროგრამის რეალიზაცია, რომელიც გამორიცხავს მასობრივი მოსპობის იარაღს და თვალისწინებს ცხოვრებას ომის საშიშროების გარეშე, კაცობრიობას დაუსახავდა განვითარების პრინციპულად ახალ გზას, მხოლოდ და მხოლოდ აღმშენებლობისთვის მუშაობის შესაძლებლობას, წერს **„რუდე პრავო“**. სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიერ გაწეულმა ბირთვული საფრთხის ხასიათისა და მასშტაბის ანალიზმა შესაძლებელი გახადა ჩამოყალიბებულიყო დიდი თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობის დასკვნა იმის თაობაზე, რომ საერთაშორისო ასპარეზზე შეიქმნა ობიექტური პირობები, რომლებშიც სოციალიზმისა და კაპიტალიზმის ჰიდილი შეიძლება მიმდინარეობდეს მხოლოდ და მხოლოდ მშვიდობიანი შეჯიბრებისა და მშვიდობიანი მეტოქეობის ფორმით.

ბულგარეთი. მ. ს. გორბაჩოვის პასუხი „დელის ექსპულის“ ლიდერთა წერილზე კიდევ ერთხელ ცხადყოფს საბჭოთა კავშირის თანამიმდევრულ პოლიტიკას, რომლის მიზანია ბირთვული საფრთხის თავიდან აცილება, აღნიშნავს **„რაბოტნიჩესკო დელი“**. — გამალებული ბირთვული შეიარაღების წინააღმდეგ, მშვიდობის შენარჩუნებისა და განმტკიცებისათვის ბრძოლა სსრ კავშირის საგარეო პოლიტიკის უურადღების ცენტრშია. საბჭოთა ხელმძღვანელის პასუხი უურადღებას იპყრობს მკაფიო და რეალისტური შეფასებებით, მოსკოვის კატეგორიულად გამოსატული მზადყოფნით დაუყოვნებლივ შეუდგეს ბირთვული იარაღის სრულ და შეუქცევად ლიკვიდაციას.

გდრ. „ჩვენს დროში ღირს სიცოცხლის მიძღვნა იმისათვის, რომ ვიხსნათ თვით სიცოცხლე დედამიწაზე“, — აღნიშნა „სიცოცხლის საერთაშორისო ინსტიტუტის“ ხელმძღვანელის წერილზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის პასუხის განმარტებისას **ბერლინს რადიოს** მიმომხილველმა. მოსკოვიდან გაისმა სერიოზული გაფრთხილება, რომ გამალებულმა შეიარაღებამ კაცობრიობა უკვე მიიყვანა კრიზისულ ზღვარამდე. შეეძლება კი მას, ახალ სახეობათა დედამიწისეული ან კოსმოსური იარაღის ტექნიკურ მახასიათებლებს თუ გავითვალისწინებთ, ამ გამალებული შეიარაღების ალაგვა? ამ ზღვარს თუ გადაკაბიჯებთ, სიცოცხლე დედამიწაზე დაეკიდება ბეწვზე, რომელიც ყოველ წამს შეიძლება გაწყდეს.

აშშ. გამოაცხადა რა გადაწყვეტილება, არ განაახლოს ბირთვული გამოცდები 31 მარტის შემდეგაც — პირველ ბირთვულ აფეთქებამდე ამერიკის შეერთებულ შტატებში, საბჭოთა კავშირმა უაღრესად სერიოზული გამოწვევა წაუყენა შეერთებულ შტატებს, გააცხადა სამხედრო პოლიტიკის საკითხებისადმი მიძღვნილ საჯარო კამათში გამოსვლისას სენატორმა **ე. კენედიმ**. ახლანდელ ადმინისტრაციამდეც

საბჭოთა კავშირი თანამიმდევრულად და მიზანდასახულად ახორციელებს სკკპ XXVII ყრილობის მიერ გამოცხადებულ პარტიის საგარეო-პოლიტიკური სტრატეგიის მთავარ მიზანს: მისცეს საბჭოთა ხალხს მყარი მშვიდობისა და თავისუფლების პირობებში შრომის შესაძლებლობა. სწორედ ასე აფასებს პლანეტის ხაზოგადოებრიობა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის მ. ს. გორბაჩოვის პასუხს, არგენტინის, ინდოეთის, მექსიკის, ტანზანიის, ხაბერძნეთისა და შვეიცარიის ლიდერთა ერთობლივ წერილზე და „სიცოცხლის საერთაშორისო ინსტიტუტის“ ხელმძღვანელის მ. მარუას წერილზე. ამ დიდმნიშვნელოვან დოკუმენტებთან დაკავშირებით საზღვარგარეთში გამოქვეყნებულ გამოხმაურებებში აღნიშნავენ: სსრ კავშირი თავის მხრივ კვლავაც ყოველ ღონეს იხმარს, რათა პრაქტიკულ რელსებზე გადაიყვანოს ბირთვული გამოცდების შეწყვეტის გადაუდებელი პრობლემების გადაჭრა, მიაღწიოს ბირთვული არსენალების სრულ ლიკვიდაციას. ჯერი ახლა შეერთებულ შტატებზეა.

ყველა პრეზიდენტი, ეიზენჰაუერიდან მოყოლებული, ამბობდა, ბირთვული გამოცდების შეწყვეტის მომხრე ვარო, დღეს ეს რეალურ შესაძლებლობად იქცა. მაგრამ ამერიკის შეერთებული შტატები ახლაც, ისევე როგორც წინათ, „შემოწმების სიძნელეს“ იმიზეზებს. სსრ კავშირმა წარმოადგინა გამოცდების შეწყვეტის შესახებ მორიგების დაცვის შემოწმების სათანადო სისტემა, რომელიც ადგილებზე ინსპექციასაც მოიცავს. თვითონ სახლი კი მაინც უარყოფს საბჭოთა კავშირის ახალ წინადადებას, ისევე როგორც ექვსი სახელმწიფოს ხელმძღვანელთა მოწოდებას სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატებისადმი არ მოაწყონ ბირთვული გამოცდები და დაიწყონ მოლაპარაკება მათი აკრძალვის ხელშეკრულების დადების თაობაზე. ადმინისტრაციის ამგვარი პოზიცია, თქვა შემდეგ სენატორმა, უკავშირდება იმას, რომ ბირთვული გამოცდები მას სჭირდება ბირთვული შეიარაღების სრულყოფისა და „ვარსკვლავეთის ომების“ პროგრამის განხორციელებისათვის, რომელსაც მოჰყვება გამალებული შეიარაღების გავრცელება კოსმოსზეც. დროა ხელი ავიღოთ სამხედრო ხარჯებისა და შეიარაღების ანალიზზე, გამოვიჩინოთ კონსტრუქციული, ჯანსაღი მიდგომა ბირთვული აფეთქებების შეწყვეტის პრობლემებისა და სსრ კავშირთან ბირთვული და კოსმოსური შეიარაღების შესახებ მოლაპარაკებისადმი. ჯერჯერობით ადმინისტრაცია მთელ ძალღონეს ახმარს ბირთვული ომის სამზადისს, რომელსაც ვერავინ მოიგებს.

ამერიკის შეერთებული შტატების თავდაცვის მინისტრმა კ. უაინბერგერმა, რომელიც ამავე დებატებში მონაწილეობდა, პირდაპირ განაცხადა: „მანამდე, სანამ იძულებული ვართ ბირთვული შეიარაღების იმედი გვქონდეს, და მანამდე, სანამ სტრატეგიულ თავდაცვით ინიციატივას არ შევასხამთ ხორცს, ერთადერთი გონივრული გზაა მოვიქცეთ ისე, რომ დარწმუნებული ვიყოთ ამ სისტემების უუშაობაში. საამისოდ კი აუცილებელია გამოცდები“.

საფრანგეთი. მსოფლიოს ხალხები შეშფოთებული არიან იმით, რომ შეიძლება ბირთვული კატასტროფის მსხვერპლი გახდნენ. აი ამიტომ არის, რომ სსრ კავშირის ახალ სამშვიდობო ინიციატივებს, იმპერიალისტების მიერ გაჩაღებული გამალებული შეიარაღების ასალაგმავად გამიზნულ მის ნაბიჯებს მთელ მსოფლიოში უჭერენ მხარს, განაცხადა საფრანგეთის ეკონომისტების ეროვნული კავშირის გენერალურმა მდივანმა, ეკონომისტთა საერთაშორისო ორგანიზაციის ვიცე-პრეზიდენტმა **ჟ. გატნომ**. საბჭოთა ხელმძღვანელის მიერ წამოყენებულმა იდეამ, რომ შევაბიჯოთ XXI საუკუნეში უბირთვულიარაღოდ, მთელი პლანეტის მცხოვრებთა წარმოსახვა მოიცვა.

ინდოეთი. არგენტინის, ინდოეთის, მექსიკის, ტანზანიის, ხაბერძნეთისა და შვეიცარიის ლიდერთა წერილში გამოთქმული აზრები ბირთვული იარაღის გარეშე საყოველთაო უშიშროების შესახებ ეხმიანება სკკპ XXVII ყრილობაზე წამოყენებულ საერთაშორისო უშიშროების ყოვლისმომცველი სისტემის შექმნის კონცეფციას, აღნიშნავს გაზეთი **„პეტრიოტი“**. ასეთი სისტემის ერთ-ერთი პრინციპული საფუძველი უნდა გახდეს ბირთვული იარაღის სრული და შეუქცევადი ლიკვიდაცია.

ბრაზილია. „თავისი კონკრეტული წინადადებით საბჭოთა კავშირმა აანთო შუქურა, რომელიც მშვიდობის გზას გვიჩვენებს, — წერს გაზეთი **„ბოტატუნის“** ფურცლებზე ბრაზილიის წამყვანი პოლიტიკური მიმომხილველი სვე ლატა. — დაადასტურა რა სსრ კავშირის ერთგულება მშვიდობიანი თანაარსებობის ლენინური პოლიტიკისადმი, სკკპ XXVII ყრილობამ წამოაყენა განიარაღების, მშვიდობის, ყოვლისმომცველი უშიშროებისა და ფართო თანამშრომლობის პირობებში ჩვენი პლანეტის განვითარების მეცნიერულად დასაბუთებული პროგრამა. აი ამიტომ აქვთ საბჭოთა კომუნისტების ისტორიული ფორუმის გადაწყვეტილებებს წარუოვნელი მნიშვნელობა ჩვენი პლანეტის ყველა ადამიანისათვის“.

● ნიკარაგუა-აშშ

მთავრობის პროტესტი

ვაშინგტონი. ნიკარაგუის მთავრობამ მკაცრი პროტესტი განაცხადა ცრუ ბრალდებების წინააღმდეგ, რომლებიც წამოაყენა პრეზიდენტმა რეიგანმა ამერიკის საერთო-ეროვნული ტელევიზიით გამოსვლისას.

განცხადებაში, რომელიც აქ გაავრცელა ამერიკის შეერთებულ შტატებში ნიკარაგუის საელჩომ, ვაშინგტონის ადმინისტრაციის მეთაურის მტაციებანი შეფასებულია როგორც „წამქეზებლური რიტორიკა, რომელსაც საფუძვლად უდევს ყალბი წანამძღვრები და ფაქტების აშკარა დამახინჯება“. პრეზიდენტის მტაციებათა საწინააღმდეგოდ, ნათქვამია დოკუმენტში, კონტრასებისათვის დახმარების გაფართოება ეწინააღმდეგება კონტადორული ჯგუფის ძალისხმევას, რომელიც მიზნად ისახავს ომის თავიდან აცილებას მშვიდობიანი დიალოგისა და მოლაპარაკების გზით. ყოველგვარი სხვა ვარაუდი კონგრესისა და ამერიკის საზოგადოებრივი აზრის მოტყუებას ნიშნავს, რათა მხარი დაუჭირონ ნიკარაგუის საქმეებში სამხედრო ჩარევის პოლიტიკას.

● შვეიცარია

საერთო-ეროვნული რეფერენდუმი

ბერნი. აქ გამოქვეყნდა „ეერთიანებული ერების ორგანიზაციაში შვეიცარიის შესვლის საკითხზე გამართული საერთო-ეროვნული რეფერენდუმის შედეგები. კენჭისყრაში მონაწილეთა 75-მდე პროცენტმა ხმა მისცა „ეერთიანებული ერების ორგანიზაციაში მონაწილეობის წინააღმდეგ.

პრესა აღნიშნავს, ასეთი რეაქციის მთავარი მიზეზია ქვეყანაში ფართოდ გავრცელებული აზრი, რომ „ეერთიანებული ერების ორგანიზაციაში შესვლის შემთხვევაში „საფრთხე შეექმნება“ მუდმივ ნეიტრალიტეტს, რომელსაც შვეიცარია ადგას.

ამქამად შვეიცარიის კონფედერაციას აქვს „ეერთიანებული ერების ორგანიზაციაში მეთვალყურის სტატუსი. მის ტერიტორიაზე განლაგებულია მრავალრიცხოვანი საერთაშორისო ორგანიზაცია, მათ შორის „ეერთიანებული ერების ორგანიზაციის მთელი რიგი სამსახურები და დაწესებულებები.

● ეკვადორი

დააპატიმრეს მეამბოხე გენერალი

კიტო. მთავრობის ჯარებმა, რომლებმაც წინა დღეს იერიშით აიღეს სამხედრო-საჰაერო ბაზა ეკვადორის დედაქალაქ კიტოში, მრავალი საათის ძებნის შემდეგ მიაგნეს ბაზის ტერიტორიაზე დამალულ სამხედრო-საჰაერო ძალების ყოფილ სარდალს პასოხს. მეამბოხე გენერალი, რომელიც პრეზიდენტ ფებრეს კორდეროს გადაყენებას მოითხოვდა, დაპატიმრებულია და სასამართლოს წინაშე წარსდგება.

● გვატემალა

ულტრამემარჯვენეთა ტერორი

ჰავანა. გვატემალიდან მიღებული ცნობებით, „ულტრამემარჯვენე ძალები არ წყვეტენ სისხლიან ტერორს, რათა ცენტრალური ამერიკის ამ ქვეყანაში გამოიწვიონ ვითარების დესტაბილიზაცია, ხელისუფლების სათავეში მრავალ წლის მანძილზე პირველი სამოქალაქო მთავრობის ჩადგომის შემდეგ.

ბოლო დღეებში რეაქციის მსხვერპლი გახდა კიდევ ხუთი გვატემალელი, რომლებიც მხეცურად მოკლეს ქვეყნის სხვადასხვა რაიონში. მკვლელთა მიერ გამოყენებული მეთოდები დამაჯერებლად მოწმობს, რომ ამ საქმეში „სიკვდილის ესკადრონების“ ხელი ურევია. მაგალითად, ბახა ვერაპასის დეპარტამენტში თავის სახლში მოკლეს მმართველი ქრისტიანულ-დემოკრატიული პარტიის ახალგაზრდული ორგანიზაციის ხელმძღვანელი აღფრედო სისი. მასთან ერთად მოკლეს მამამისი და.და. ქვეყნის დედაქალაქში უცნობმა პირებმა მოკლეს ორი კაცი, ერთ მორს ლოდინში მყოფელ დე ხესუსი, რომელიც თავდასხმის მიზეზად ეკლესიაში წერილის [illegible] ლების სათავეში ვინმესთან ერთად ეროსს დემოკრისტიანული მთავრობის მოსვლიდან განვლილ ორ თვეში პროფესიონალური „სიკვდილის ესკადრონებისა“ მსხვერპლთა სიას 80-ს გადაჭარბა; ამავე პერიოდში 29 გვატემალელი უგზოუკვლოდ დაიკარგა.

დამატებითი ცნობა

ძებნა გრძელდება

ვაშინგტონი. ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო-საზღვაო ძალების ხომალდები და მყვინთავები განაგრძობენ მუშაობას კოსმოსურ ხომალდ „ჩელენჯერის“ პილოტის ნაკვეთურის ნამსხვრევების აღმოსაჩენად.

როგორც კანაველალის კონსულიდან იუნაიტედ პრეს ინტერნეშნლის საგაზეთო გადმოცემას, ფაქტობრივად ყველა დაღუპული ამერიკელი კოსმონავტის ნეშტი ნაპირზე მიიტანეს და ამჟამად მათ მთავრობის მიერ შექმნილი კომისიის პათანატომები სწავლობენ. ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო-საზღვაო ძალების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ვრცელ ფართობზე განფენული კოსმოსური ხომალდის ნამსხვრევების ძებნისა და ამოღების ოპერაციები უკვე თითქმის მილიონი დოლარი დაჯდა.

სტატისტიკის ენით

წარმოება მცირდება

ვაშინგტონი. სამრეწველო წარმოების მოცულობა ამერიკის შეერთებულ შტატებში თებერვალში შემცირდა 0,6 პროცენტით იანვართან შედარებით — ამას იუწყება ფედერალური სარეზერვო სისტემის სამმართველო. ეს ყველაზე დიდი შემცირებაა 1982 წლის ოქტომბრის შემდეგ, როცა ეკონომიკა დაქვეითებას განიცდიდა. წარმოება ყველაზე მეტად შემცირდა ქვანახშირისა და ავთომობილ მრეწველობაში — სამი პროცენტით.

სიკეთლენი

ორიგინალური საათი

ტოკიო. იაპონიის „ალბა“ კომპანიამ პირველად გამოუშვა გასაყიდად მაჯის ელექტრონაათები, რომლებსაც ბატარეები არ სჭირდება. საათი იკვებება კორპუსში ჩამონტაჟებული მზის ბატარეების პანელისაგან. შუქის უკმარისობის დროს საათს ენერგიას აწვდის სპეციალური მაკუმულირებელი მოწყობილობა. კომპანია ამტკიცებს, რომ მისი სიახლე მაჯის საათების ახალი თაობის მამამთავარი გახდება.

● ეკონომიკა

სსრ კავშირის დელეგაცია შვეციაში

სტოკჰოლმი. აქ მყოფი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ი. რიჟკოვი ვიზიტით ეწვია შვეციის მეფეს კარლოს XVI გუსტავს. შვეციის სახელმწიფოს მეთაურმა მადლობა გადაუხადა საბჭოთა კავშირის მაღალი დონის დელეგაციას უ. პალმეს დაკრძალვის სამგლოვიარო ცერემონიაში მონაწილეობისათვის.

გაიმართა საუბარი, რომლის დროსაც შეეხნენ საბჭოთა კავშირ-შვეციის ურთიერთობის ზოგიერთ საკითხს, აგრეთვე აქტუალურ საერთაშორისო პრობლემებს.

● ● ●

ნ. ი. რიჟკოვი აქ შეხვდა შვეციის საქმიანი წრეების წარმომადგენლებს, სამრეწველო და საგაჭრო კომპანიათა ხელმძღვანელებს.

შეხვედრის დროს გაიმართა აზრთა გაზიარება შვეციისა და სსრ კავშირის სავაჭრო-ეკონომიკური და სამეცნიერო-ტექნიკური ურთიერთობის საკითხებზე. შეკრებილთა დიდი ინტერესი გამოიწვია ნ. ი. რიჟკოვის გამოსვლაში „კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების პერსპექტივებმა და შესაძლებლობებმა, რომლებიც ამასთან დაკავშირებით ესახებათ შვეციის საქმიან წრეებს.

ორივე მხარემ აღნიშნა, თუ რაოდენ აქტუალური მნიშვნელობა აქვს საბჭოთა კავშირ-შვეციის ურთიერთობებში განმტკიცებას დიდმნიშვნელოვანი ფაქტორის — ორი ქვეყნის ურთიერთხელსაყრელი თანამშრომლობის როგორც ტრადიციული, ისე ახალი ფორმების აქტიურ გამოყენებას.

● ● ●

სტოკჰოლმი. 16 მარტს საბჭოთა მთავრობის დელეგაცია, რომელიც სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ი. რიჟკოვის მეთაურობით გამოჩენილი შვედი სახელმწიფო და პოლიტიკური მოღვაწის უ. პალმეს დაკრძალვაში მონაწილეობდა, სამშობლოში გამოემგზავრა. დელეგაციის შემადგენლობაში იყვნენ სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე ვ. თ. მალცევი და საბჭოთა კავშირის ელჩი შვეციაში ბ. დ. პანკინი.

● ● ●

მოსკოვში აეროდრომზე დელეგაციას დახვდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, ცენტრალური კომიტეტის მდივანი ლ. ნ. ზაიკოვი და სხვა ოფიციალური პირნი.

(საკდესი).

გუნებისათვის ზრუნვა

13 მარტს გაიმართა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს პრეზიდიუმის გარეშოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების [illegible]ალური გამოყენების კომისიის მორიგი სხდომა.

სხდომაზე აღინიშნა, რომ სკკპ XXVII ყრილობამ დიდი ყურადღება დაუთმო ჩვენი ქვეყნის ბუნების დაცვის შემდგომი გაძლიერებისა და სრულყოფის საკითხებს. ხაზგასმით აღინიშნა, რომ ბუნების დაცვის გლობალური პრობლემის გადაწყვეტაში მთლიანად უნდა გამოვიყენოთ სოციალიზმის, კერძოდ, მისი წარმოების გეგმიანი ორგანიზაციისა და ჰუმანისტური მსოფლმხედველობის უპირატესობანი.

კომისიამ განიხილა საქართველოს სს რესპუბლიკისა და ტაჯიკეთის სს რესპუბლიკაში მიწის რესურსების დაცვისა და რაციონალური გამოყენების ნაწილში მიწის კანონმდებლობის შესრულების საკითხი. ამ მოკავშირე რესპუბლიკებში გასული ხუთწლიდის წლების მანძილზე ვერ შესრულდა მიწების რეკულტივაციის გეგმები, ძვირფასი სავარგულების მნიშვნელოვან ფართობებს უთმობენ სხვადასხვა ობიექტის განლაგებას, ჯეროვნად არ წარმოებს ბრძოლა ნიადაგების ეროზიის წინააღმდეგ, მცირეა მარცვლეული და ბოსტნეული კულტურების მოსავლიანობა მელიორირებულ მიწებზე.

კომისიამ დაავალა საქართველოს სსრ და ტაჯიკეთის სსრ მინისტრთა საბჭოებს სსრ კავშირის დაინტერესებულ სამინისტროებთან და უწყებებთან ერთად აღმოფხვრან აღნიშნული ნაკლოვანებანი და უზრუნველყონ მიწის კანონმდებლობის საფუძვლების მოთხოვნათა მკაცრი დაცვა.

განიხილეს სხვა საკითხებიც.

კომისიის სხდომას უძღვებოდა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ვ. ს. მურახოვსკი.

(საკდესი).

ტრადიციები ცხოვრების სარკეში

ასეთი კალენდარ-ცნობარი უკვე. მეხუთედ დაბეჭდა. ყოველი ახალი წელი ამდიდრებს მას ახალი შინაარსით, შეაქვს თავისი დამახასიათებელი თავისებური ბანი. მშრომელთა შენიშვნების, წინადადებისა და სურვილების გათვალისწინებით ახალი წელ-ჩვეულებებისა და რიტუალების პროპაგანდისა და დანერგვის რესპუბლიკურმა კომისიამ მოამზადა იმ სახალხო დღესასწაულებისა და ღირსშესანიშნავი დღეების კალენდარ-ცნობარი, რომლებითაც საბჭოთა საქართველოს ცხოვრებაში აღინიშნება 1986 წელი.

ამჯერად კალენდარში შეტანილია 111 დღესასწაული, რომლებაც მოქალაქეობის უფლებები დაიმკვიდრეს, მოცემულია სანტერესო ცნობებიც თვით სახალხო დღესასწაულების ისტორიიდან, თვალსაჩინო სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწეთა ბიოგრაფიიდან. კალენდარ-ცნობარი კარგად არის ილუსტრირებული.

(საინფორმი).

● საფრანგეთი

არჩევნების წინასწარი შედეგები

პარიზი. საფრანგეთის შინაგან საქმეთა და დეცენტრალიზაციის სამინისტრომ გამოაცხადა 16 მარტს ქვეყანაში გამართული ეროვნული კრების არჩევნების წინასწარი შედეგები. ადგილების აბსოლუტური უმრავლესობა მიიღეს მემარჯვენე პარტიებმა — რესპუბლიკის მხარდამჭერმა გაერთიანებამ, საფრანგეთის დემოკრატიისათვის კავშირმა და საფრანგეთის დემოკრატიისათვის კავშირმა მიიღეს 670-მდე ადგილი, სოციალისტურმა პარტიამ — 495. საბჭოებში არჩეულია საფრანგეთის კომპარტიის 170 კანდიდატი. ხელისუფლების ამ ორგანოებში ადგილები ულტრამემარჯვენე დაჯგუფებამ „ეროვნულმა ფრონტმაც“ მიიღო.

ოდნავ მეტი ადგილი მიიღო. ახალი მოწვევის ეროვნულ კრებაში 577 დეპუტატი შედის.

გამოქვეყნდა აგრეთვე ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების რეგიონალური საბჭოების არჩევნების შედეგები. 96 დეპარტამენტში არჩეულია 1685 საბჭოს წევრი. მემარჯვენე პარტიებმა — რესპუბლიკის მხარდამჭერმა გაერთიანებამ და საფრანგეთის დემოკრატიისათვის კავშირმა მიიღეს 670-მდე ადგილი, სოციალისტურმა პარტიამ — 495. საბჭოებში არჩეულია საფრანგეთის კომპარტიის 170 კანდიდატი. ხელისუფლების ამ ორგანოებში ადგილები ულტრამემარჯვენე დაჯგუფებამ „ეროვნულმა ფრონტმაც“ მიიღო.

კონტინენტები და ქვეყნები

ტუნისი



ოც მარტს ტუნისელი ხალხი აღნიშნავს თავისი სამშობლოს დამოუკიდებლობის წლისთავს. 30 წლის წინათ უცხოეთის უღლისაგან განთავისუფლებისათვის მძიმე და ხანგრძლივი ბრძოლის შედეგად ქვეყანაში რესპუბლიკა გამოცხადდა.

დამოუკიდებლობის წლებში ტუნისს დიდი ძალისხმევა დასჭირდა ეროვნული ეკონომიკის აღმავლობისათვის და უცხოეთის ბატონობისაგან გასათავისუფლებლად. საგარეო პოლიტიკის დარგში სახელმწიფო მუშაობრობლობის გეზს ადგას, მხარს უჭერს მსოფლიოს ყველა ხალხის მშვიდობიან თანაარსებობას.

ეკონომიკურ, სამეცნიერო და ტექნიკურ სფეროებში მნიშვნელოვნად განვითარდა საბჭოთა კავშირ-ტუნისის კავშირურთიერთობანი. სსრ კავშირი ამ არაბულ ქვეყანას ტექნიკურ დახმარებას უწევს მთელი რიგ მსხვილი საინიგაციო ობიექტების მშენებლობაში, ეროვნული კადრების მომზადებაში.

სურათებზე: ქვეყნის დედაქალაქის ძველი უბნების ხედი; მსოფლიოს ერთ-ერთი უძველესი ქალაქის კართაგენის ნანგრევები.

საკდესის ფოტო.

● ● ●

მოკლედ

● **ქაბული.** აქ ხელი მოაწერეს ოქმს ავღანეთის დემოკრატიული რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიასა და სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიას შორის თანამშრომლობის თაობაზე. დოკუმენტის შესაბამისად, საბჭოთა კავშირი ავღანეთს მეცნიერებათა აკადემიას მიაწვდის მოწყობილობასა და სამეცნიერო ლიტერატურას.

● **რომი.** იტალიის აპარტეიდის წინააღმდეგ ბრძოლის საკოორდინაციო კომიტეტმა დაიწყო პრეტორიის სისხლიანი რეჟიმის დანაშაულობათა გამო პეტიციაზე ხელმოწერათა შეგროვება. კომიტეტში გაერთიანებული არიან სხვადასხვა პროგრესული, საზოგადოებრივი, ახალგაზრდული ორგანიზაციების წარმომადგენელნი, პროფკავშირების აქტივისტები. პეტიცია, რომელსაც 21 მარტს გადასცემენ იტალიის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს, შეიცავს მოთხოვნას დაუყოვნებლივ გაათავისუფლონ ყველა პოლიტიკური პატიმარი სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში.

საზღვარგარეთელ სტუმართა თვალით

კავკასია გვიზიდავს

— **ლეონიდ** საქართველოზე შემეძლო მხოლოდ წამეკითხა პანოვერის ბიბლიოთეკაში. „ინტურისტის“ ახალი ტურის მეთხებით შესაძლებლობა მომეცა მენახა ქვეყანა, რომელიც დიდი ხანია მაინტერესებდა, — უთხრა საქინფორმის კორესპონდენტს ინგენერმა ბრუნო ბრენდელმა. იგი საქართველოში ჩამოვიდა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ტურისტთა ჯგუფთან ერთად პირდაპირი ავიარეისით მარშრუტით ჰამბურგი — თბილისი. საქართველოს დედაქალაქის შემდეგ სტუმრები მოგზაურობას განაგრძობენ სომხეთსა და აზერბაიჯანში.

— თვით სიტყვა „კავკასია“ იზიდავს მოგზაურობის მოყვარულთ, — თქვა ჯგუფის მეორე წევრმა ეკონომისტმა კლაუს ჰაიზენაინერმა. — მაგრამ წმინდა სანახაობითის გარდა სსრ კავშირში, მოგზაურობის დროს სხვა მიზანიც მქონდა. მაინტერესებდა, როგორ ცხოვრობენ აქ უბრალო ადამიანები, როგორ უზრუნველყოფს თქვენი სახელმწიფო სამუშაოთი სტუდენტებს, ახალგაზრდობას. მაგრამ. ყველაზე მთავარი, რაც მაღელვებდა, როგორც ომის წლებში დაბადებულ კაცს, რომელსაც მძიმე ბავშვობა ხვდა, ის იყო, თუ რა აზრისანი არიან საბჭოთა ადამიანები საბჭოთა კავშირ-დასავლეთ გერმანიის ურთიერთობის მომავალზე, როგორია მათი პოზიცია ქვეყნად მშვიდობის შენარჩუნების საკითხში. დავრწმუნდი, რომ მათთვის ისევე, როგორც მეტი წილი დასავლეთგერმანელებისათვის, ჩვენი ურთიერთობის იდეალია ურთიერთგაგება და ნდობა.

ბოთლების „ოდისეა“

სატირული კალმით

ბევრი, ამ სათაურს რომ წაიკითხავს, უეჭველად გაიფიქრებს: რაკი ლაპარაკი ბოთლზეა, თანაც სატირული თვალსაზრისით, რაღა თქმა უნდა, ალკოჰოლიზმზე იქნებაო. უკაცრავად, მაგრამ არა! მართალია, ლაპარაკი ნახევარლიტრიანზე იქნება, მაგრამ უნიკალურ სამკურნალო წყალზე — ბორჯომზე...

— ძალიან გაგვიჭირდა, — ასე დაიწყო საწარმოო გაერთიანება „ბორჯომის“ გენერალურმა დირექტორმა თენგიზ მაისურაძემ. ლაპარაკობდა და, გულისტკივილი და წყენა რომ ჩაეხშო, წამდაუწუმ იგრილებდა გულს ცივი ბორჯომით.

— ჩვენს შესანიშნავ სასმელზე მოთხოვნა განუწყვეტლივ მატულობს, ჩვენ კი იძულებული ვართ შევამციროთ მისი წარმოება. იკითხავთ, რატომაო? იმიტომ რომ ჯერ ერთი, ჩამოსასხმელი ხაზები ძოძველდა და თავისი სიმძლეავრის მხოლოდ 70 პროცენტით მუშაობენ, და მეორე, პირდაპირ არ დაიჯერებთ, დაბრუნებულმა ტარამ — ცარიელმა ბოთლებმა — ლამის წალეკოს საწარმო.

მართლაც, ქარხნის ტერიტორია გაჭედილი იყო ამ ტარით. ბოთლები შტაბელებად ეწყო ღია ცის ქვეშ, ხეივნებში, პარკის გაზონებში, საწყობებში, საამქროებსა და დერეფნებში.

დირექტორი უეცრად დადუმდა და შეშფოთებული მზერა შეაგება შემოსულ მომარაგების მუშაკს.

— ბატონო თენგიზ, კიდევ ორმოცი რკინიგზის ვაგონი დაბრუნებული ტარა მივიღეთ მოსკოვის, სტრახანის, და ვოლგოგრადის ოლქებიდან. კიდევ გვპირდებიან.

— სად წავიღო? ვერ მომიფიქრებია, — სასოწარკვეთილმა გაასავსავა ხელები დირექტორმა.

მომმარაგებელმა ბორჯომი დაუსხა, მხრები აიჩეჩა და გავიდა.

23 მილიონი ბოთლი დაგროვდა საწარმოში, თუ არ ჩავთვლით იმას, რომ 127 განუტვირთავ ვაგონშია. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ტარის ასეთი, უკაცრავად არ ვიყოთ, შენახვა, ხელსაყრელ პირობებს უქმნის სხვადასხვაგვარ ბოროტმოქმედებას და დატაცებას.

— განურჩევლად ყველაფერს გვიგზავნიან, კვლავ წამოიწყო. მაისურაძემ. — სტანდარტულსაც, უსტანდარტოსაც, დამსხვრეულს. ზოგჯერ ისეთი ჭუჭყიანი ბოთლებია, ვერც გარეცხავ; და ასეთი ბოთლი 8 მილიონზე მეტი დაგვიგროვდა.

კვლავ სახემოღუშული შემოვიდა მომმარაგებელი და მდუმარედ აეყუდა კარს.

— რაო, რა მოხდა? — განწირული ხმით ჰკითხა დირექტორმა.

— ბატონო თენგიზ, კიდევ 50 ვაგონი მოვიდა. ქარხნის რკინიგზის ჩიხი სულ გაიჭედა, ჩვენ თვითონაც ჩიხში ამოვყავით თავი. ვაგონების დასაყენებელი ადგილი არა გვაქვს, რომ მზა პროდუქცია გავგზავნოთ.

უთხრა ყოველივე ეს და სწრაფად გაეცალა იქაურობას.

დირექტორმა ბორჯომი გადაკრა, ხელი შუბლზე მოისვა და დაღლილმა განაგრძო:

— სანუგეშოსაც რომ ვერაფერს ვხედავ. კიდეც რომ გამოვნახოთ თავისუფალი ტერიტორია საწყობის ასაშენებლად (ბორჯომის ხეობის პირობებში კი ეს არც ისე იოლია), იმას რაღა ვუყოთ, რომ ეს მილიონობით ბოთლი ძძინთად ეკონომიკურ მაჩვენებლებს.

დირექტორმა კვლავ ბორჯომისკენ გაიწვდინა აკანკალებული ხელი. ბოთლიდან შხეფებად გადმოიღვარა წყალი და დაასველა ზედადებები, რომლებიც ატყობინებდნენ... უახლოეს მომავალში იგი შემოვიდა, ცივი ბორჯომი დაასხა და დაიწყო:

— ბატონო თენგიზ, კიდევ 50 ვაგონი მოვიდა. ქარხნის რკინიგზის ჩიხი სულ გაიჭედა, ჩვენ თვითონაც ჩიხში ამოვყავით თავი. ვაგონების დასაყენებელი ადგილი არა გვაქვს, რომ მზა პროდუქცია გავგზავნოთ.

უთხრა ყოველივე ეს და სწრაფად გაეცალა იქაურობას.

დირექტორმა ბორჯომი გადაკრა, ხელი შუბლზე მოისვა და დაღლილმა განაგრძო:

— სანუგეშოსაც რომ ვერაფერს ვხედავ. კიდეც რომ გამოვნახოთ თავისუფალი ტერიტორია საწყობის ასაშენებლად (ბორჯომის ხეობის პირობებში კი ეს არც ისე იოლია), იმას რაღა ვუყოთ, რომ ეს მილიონობით ბოთლი ძძინთად ეკონომიკურ მაჩვენებლებს.

—

როცა მესაზღვრე საზღვარზე არ დგას...

მესაზღვრეთა სადაგი დღეები როდია მხოლოდ საიდუმლო ლონდინის საათები, მრავალკილომეტრიანი ლაშქრობები, სწრაფი გამოდევნება. ეს არის არმიელთა კოლექტივების ყოველდღიური ცხოვრებაც, მათი დასვენებაც, ცხოვრებისეული საზრუნავი, რომლებშიც მეომრები იყენებენ როგორც არმიაში სამსახურამდე, ისე სამსახურის დროს შეძენილ ცოდნას და ჩვევებს. პარტია და სახელმწიფო ისწრაფვოდნენ და ისწრაფვიან, რომ საბჭოთა მეომარი — ჯარისკაცი და ოფიცერი — თავისი ძნელი სამსახურის აღსრულებისას, ყოველთვის გრძნობდეს საზოგადოების ზრუნვასა და ყურადღებას, რომ ჩვენი არმია იყოს მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის, მამაცობისა და პატრიოტიზმის ჩანერგვის სკოლა — ხაზგასმულია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXVII ყრილობისადმი სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკურ მოხსენებაში.

ზამთრის ყვავილოვა

ამთიანეთი, სადაც განლაგებულია სასაზღვრო ნაწილი, ჯერ კიდევ თოვლშია ჩაფლული, ჯარისკაცთა სუფრაზე კი ყოველდღიურად უხვად არის თვის ბოლოკი, მწვანილი, ხახვი. მოსავალი მოწეულია ბოსტანში, რომელსაც ყინვა არ აშინებს, — იგი მოთავსებულია მინის ქვეშ.

სათბური მხოლოდ ნაწილია იმ ვრცელი დამხმარე მეურნეობისა, რომელიც მეომრებმა შექმნეს. აქ აქვთ საკუთარი მეღორეობის ფერმა, ბოსელი, სახბორე და საფრინველე, რომლებიც მესაზღვრეებმა თავისუფალ დროს ააშენეს.

საჭრელითა და ფუნჯით

გუშაგის ფიგურა მთების ფონზე — ასეთია „სავიზიტო ბარათი“ თვითმოქმედ მხატვართა გამოფენისა, რომელიც გაიხსნა სასაზღვრო ნაწილის კლუბში.

ხასხასა ფერები აირჩია თავისი ტილოებისათვის რიგითმა დ. დეინმა. ჯარისკაცს თავის ნახატებზე აღუბეჭდავს თანამოსამსახურე ამხანაგები, მშობლიური საგუშაგო, სამშობლოს საზღვრების დაცვის ეპიზოდები. თვითნასწავლი ფერმწერის ნამუშევრები თავისებური მატიანეა მოძრაობისა, რომელიც გაჩაღდა ოლქში და ატარებს საბჭოთა კავშირის გმირის პ. კარაცუპას სახელს.

ბევრი მეომარი სამსახურისაგან თავისუფალ დროს დივნთან ერთად ხელოვნების ენით აღწერს წითელდრომოვანი ნაწილის ისტორიას, რომელშიც პირადი შემადგენლობის უმრავლესობა საბრძოლო და პოლიტიკური მომზადების ფრიადოსანია. რიგითმა ვ. ხუდიაკოვმა ამისთვის აირჩია ხის მოჩუქურთმება, სერჟანტმა ს. ჩუნინმა — ჭედურობა, ოფიცერმა ვ. დუბროვინმა — გრაფიკა...

ფერწერის, ქანდაკების, გამოყენებითი ხელოვნების ასამდე ნაწარმოებია წარმოდგენილი მესაზღვრეთა ექსპოზიციაში და თითოეული მათგანი იმის თვალსაჩინო მაგალითია, თუ რა უნარიანად უხამებენ მეომრები ერთმანეთს სამსახურსა და შემოქმედებას.

ჯარისკაცი პედაგოგი

ჯარის ნაწილის სასწავლო კლასიდან სკოლის კლასში შედგა ფეხი სერჟანტმა ს. ტრიაკინმა. ახლომდებარე საშუალო სკოლაში იგი გახდა ნორჩ კვალმაძიებელთა წრის ხელმძღვანელი.

როგორ დაშალოს და ააწყოს იარაღი, გაუწიოს დაზარალებულს პირველი სამედიცინო დახმარება, აღმოაჩინოს ოდნავ შესამჩნევი კვალი მთასა და ტყეში, გზა გაიკვლიოს — ყოველივე ეს ჩიხებულად იცის მესაზღვრე მეომარმა. ამზადებს რა ბავშვებს მომავალი სამსახურისათვის, იგი მათ გადასცემს თავის ცოდნას. ესაუბრება სასაზღვრო სამსახურის სპეციფიკაზე. ამას წინათ ნორჩ კვალმაძიებელთა წრის წევრები ტრიაკინის მეთაურობით მონაწილეობდნენ სამხედრო-სპორტულ თამაშ „დაფიონში“ და ყველა მეტოქეზე უკეთ გამოჩინეს თავი.

გულდაჯერებულად გრძნობს თავს პედაგოგის როლში სასაზღვრო ჯარების ფრიადოსანი ს. ტრიაკინი. მეომარს ეხმარება სამთოელის ჩვევებიც (არმიამდე იგი მუშაობდა მაკეევკის შახტში) და ჯარისკაცული გაწვრთნილობაც, მეთაურის გამოცდილებაც, აღმზრდელობითი მუშაობისადმი მიდრეკილებაც. ახლახან მისმა ნორჩმა კვალმაძიებლებმა თავიანთ დამრიგებელს მიუღიცეს საპატიო ჯილდო. სამსახურში წარმატებებისათვის მას მიენიჭა ლეგენდარული მესაზღვრის ნ. კარაცუპას სახელობის დიპლომი.

სპორტი ეხმარება სამსახურს

ზამთრის ცივმა ამინდმა გავლენა ვერ მოახდინა მაღალ მთის საგუშაგოს მეომართა ჯანმრთელობაზე. მედიკოსები უმუშევარი რჩებიან, როცა მესაზღვრეთა მომზადებაში მეთაურთა ერთ-ერთი მთავარი საზრუნავი სპორტსა და ფიზიკურ კულტურას ეკისრება.

თავისუფალ დროს ჯარისკაცებმა თავად მოაწყვეს სპორტული ქალაქები, ააშენეს კალათბურთისა და ფრენბურთის მოედნები, სტადიონი და შექმნეს სპეციალური უბანი, სადაც ხელჩართულ ბრძოლას ასწავლიან. მათ განკარგულებაშია აგრეთვე სპორტული და საჭიდაო დარბაზები, სხვადასხვა ტრენაჟერი.

მესაზღვრეებს განსაკუთრებით მოსწონთ სამბო და ფრენბურთი, მძლეოსნობა და სამხედრო-გამოყენებით სახეობათა სპორტი. სწორედ აქ მიაღწიეს მათ ბევრ წარმატებას. რიგითი ა. ვახანია, მაგალითად, ოლქის ჩემპიონი გახდა სპრინტში. რიგითმა გ. რთველიაშვილმა გაიმარჯვა სამბისტთა შეჯიბრებაში, ვალერი მეეონოვმა — ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სასაზღვრო ოლქის ნაკრები გუნდის წევრმა — ფრენბურთში.

სხვათა შორის, ქვეგანაყოფი მარტო „ვარსკვლავებით“ როდია ცნობილი. სამსახურის წლებში ძლიერი, გულადი, მოხერხებული აქ ხდება თითოეული, ხოლო მეომართა ნახევარზე მეტი — თანრიგოსანი სპორტსმენი. ფიზკულტურა და სპორტი საიმედოდ ეხმარება მესაზღვრეებს სამშობლოს საზღვრების დაცვაში.

ვ. გოლოვინი,
ნ. სტოლიაროვი,
საჭინფორმის კორ.

პირველად პირველი

ლეილა მესხი

სსრ კავშირის ჩემპიონატი

მოსკოვში დამთავრდა სსრ კავშირის ზამთრის პირველი ჩემპიონატი ჩოგბურთში. ამ შეჯიბრებაზე თავი ისახელა თბილისელმა ლეილა მესხმა. ქალთა ერთეულების ფინალში მან მოსკოველი ნატალია ბიკოვა დამარცხა (6:2, 6:1) და პირველად ზამთრის პირველ ჩემპიონატში პირველ ადგილს დაეუფლა. ქალთა წყვილებში მესხმა და მოსკოველმა სვეტლანა პოგორელოვამ ვერცხლის მედლები მოიპოვეს. ამ თანრიგში უძლიერესნი იყვნენ კიეველები ნინო ავდეევა და ელენე რიქიკოვა. ვაჟთა ერთეულებს შორის პირველი ადგილი მოიპოვა მინსკელმა სერგი ლეონიუკმა. ვაჟთა წყვილების თანრიგში კი ყველას აჯობეს მოსკოველმა ანდრია ოლხოვსკიმ და რიგელმა გირტს ძელდმ. ვერცხლის მედლები წილად ხვდათ თბილისელ ვლადიმერ გაბრიჩიძეს და უცგოროდელ იოსებ კრიჩკოს.

ტიტულებს არ შეუშინდა

გიორგი ჩოგოვაძემ

ყველას აჯობა



ალმა-ათაში გამართული საერთაშორისო შეჯიბრების ბოლო დღეს შთამბეჭდავი გამარჯვება მოიპოვა თბილისელმა 17 წლის სტუდენტმა გიორგი ჩოგოვაძემ. იგი უძლიერესი იყო 10-მეტრიანი კოშკიდან წყალტომაში. ნიშანდობლივია, რომ ქართველმა სპორტსმენმა აჯობა მსოფლიო ჩემპიონატების ყველა ტიტულის მფლობელს, 23 წლის ჩინელ სტუდენტს ტუნხოის. ჩოგოვაძემ 676,41 ქულა დაგროვა, მისმა მეტოქემ კი 668,13. „გაზაფხულის მერცხლებად“ წოდებული ამ საერთაშორისო ასპარეზობის წინა დღეს ქალთა შორის კოშკიდან ხტომაში უძლიერესის წოდება მოიპოვა მინსკელმა ანეელა სტასიულევიჩმა — 450,18 ქულა.

წარმატებით იასპარეზა

ნინო გურიელი

ტურნირში

გამარჯვებულია



ბელგრადში დასრულდა ქალთა საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ტრადიციული საერთაშორისო ტურნირი ჭადრაკში. აქ ყველაზე უკეთ ისასპარეზა თბილისელმა ნინო გურიელმა. მან 11 შესაძლებლიდან 9 ქულა დააგროვა და გამარჯვება მოიპოვა. 7,5 ქულით მეორე ადგილზე გამოვიდა ჰოლანდიელი ჰელენა დე გრეიფი, მესამეზე — იუგოსლავი მოჭადრაკე ალისა მარიჩი — 7 ქულა. შეჯიბრებაში მონაწილეობდა ქეთევან არახამიაც, მაგრამ იგი ამჯერად პრიზიორთა სამეულში ვერ მოხვდა.

ექსპერიმენტის პირველი ნაბიჯები

თანამედროვე სერვისი ადამიანის სამსახურში

დასვენების სამსახურში ჩადგა „ცივწყაროს“ პანსიონატი, განახლდა სანატორიუმი „უკრაინა“, საექსპლოატაციოდ გადაეცა გაგრის შემოსავლელი გზის პირველი რიგის ტრასა...

მაგრამ ცნობილია ისიც, რომ შავი ზღვისპირეთის ამ უნიკალურ კურორტზე მხოლოდ ზაფხულის ცხარე დღეებში უსაგზაროდ 250 ათასზე მეტი სტუმარი ჩამოდის. სწორედ უსაგზაროდ ჩამოსულთა უმრავლესობა მოკლებული იყო არა მარტო სრულყოფილ საკურორტო სერვისს, არამედ ნორმალურ საძინებელ ბინებსაც.

სწორედ ამიტომაც კომუნისტების ინიციატივით სკკპ XXVII ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობისათვის მზადების პერიოდში ჩაისახა, მოქმედებს და თავის სოციალურ-ეკონომიკურ პოზიციებს განამტკიცებს ახალი ექსპერიმენტი. საქმე ეხება გაგრაში ტერიტორიული დარგთშორისი გაერთიანების „დასვენების“ შექმნას.

ეს ის პერიოდი იყო, როდესაც გაგრის მშრომელებმა სოციალისტური შეჯიბრება გაიჩაღეს დევიზით: „გადავაქციოთ გაგრა სანიმუშო საკურორტო ქალაქად!“.

საკურორტო ინდუსტრიის ახალი პირმშოს — ფირმა „დასვენების“ შექმნა, — ამბობს საქართველოს კომპარტიის გაგრის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი ე. კაბა, — თვით ცხოვრებით არის ნაკარნახევი. აქ საქმე გვაქვს ყველა სოციალურ-ეკონომიკური ცვლილების გადამწყვეტ ფაქტორთან — ადამიანის ფაქტორთან. ჩვენ ვალდებული ვართ მთავარი ყურადღება მივაქციოთ მშრომელთა დასვენებისა და მკურნალობის, კურორტოლოგიის დარგში მდგომი ამოცანების ჯეროვნად გადაწყვეტის.

ამ ახალმა ფირმამ იკისრა იმ დამსვენებელთა საკურორტო მომსახურება, რომლებიც უსაგზაროდ ჩამოდიან. ამჟამად გაერთიანების მთავარ ამოცანას წარმოადგენს მშრომელთა საკურორტო მომსახურების კომპლექსური ღონისძიებათა განხორციელების დონისა და ხარისხის ამაღლება.

ფირმის მიერ საკურორტო სერვისის უზრუნველყოფის ანაზღაურებიდან მიღებული ფულადი შემოსავალი გაგრის საქალაქო საბჭოს აღმასკომის განკარგულებაში რჩება, რომელიც შემდგომ ქალაქის კეთილმოწყობას და თვით ფირმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარებას ხმარდება.

ფირმას პარტნიორობას უწევს ქალაქის 25 სხვადასხვა ორგანიზაცია, რომელთა მეთაურები ამ გაერთიანების საქმიანობის წარმართვის ხელმძღვანელი ორგანოს — საბჭოს შემადგენლობაში შევიდნენ.

ფირთოა საკურორტო სერვისის „ასორტიმენტი“. იგი მოიცავს ჩამოსულ სტუმართა რკინიგზისა და აეროვაგზლებში დახვედრის, შემდგომ ქალაქის კერძო სექტორის სახლებში დაბინავების, საზოგადოებრივი კვებისა და სამკურნალო დაწესებულებებით ურიგოდ სარგებლობის, სამგზავრო ბილეთებით წინასწარ უზრუნველყოფას. ვეგმიანი ექსკურსიების და სხვა კულტურულ ღონისძიებათა ორგანიზაციას.

ჯერ წელიწადიც არ გასულა, რაც ეს სიახლე დაინერგა საკურორტო ქალაქში. ამ მოკლე ხანში ფირმამ ყოველგვარი დოტაციის მიუღებლად გაშალა თავისი საქმიანობა დამსვენებელთა პრაქტიკულად მთელი კომპლექსით მომსახურებისათვის. იგი მოემსახურა 213 ათას კაცს და 826 ათასი მანეთი მოგება მიიღო. აქედან ქალაქის კეთილმოწყობისათვის 300 ათას მანეთზე მეტი გადაირიცხა. აღნიშნული ნათლად მოწმობს, რომ ექსპერიმენტი ამართლებს თავის დანიშნულებას.

მომსახურების ამ ახალ ფორმას მსახურება, რომლებიც უსაგზაროდ ჩამოდიან. ამჟამად გაერთიანების მთავარ ამოცანას წარმოადგენს მშრომელთა საკურორტო მომსახურების კომპლექსური ღონისძიებათა განხორციელების დონე, ხოლო მისგან მიღებული მოგება ქალაქის ბიუჯეტს ამდიდრებს და კურორტის კეთილმოწყობას ხმარდება. ფირმის ხელმძღვანელები პერსპექტივაში ვარაუდობენ მოგება 2 მილიონ მანეთამდე გაზარდონ. ეს კი შესაძლებელს გახდის გაგრაში კეთილმოეწყოს საპლაჟე მეურნეობა, შეიქმნას ახალი სპორტული ნაგებობანი და კულტურული მომსახურების ობიექტები, მკვეთრად გაფართოვდეს საზოგადოებრივი კვების ქსელი.

ბევრი კარგი რამ გვაქვს გათვალისწინებული საკურორტო სერვისის ჰორიზონტების გაფართოებისათვის, — ამბობს ფირმა „დასვენების“ გენერალური დირექტორი რ. ჩეპი-ოფა, — განზრახული გვაქვს და პრაქტიკულად შეგუდექით საგაზაფხულო სეზონისათვის კურორტის სხვადასხვა ადგილას გავხსნათ ჩამოსულ სტუმართა შეხვედრა-მიღებისათვის 12 კეთილმოწყობილი პუნქტი, ასევე სხვადასხვა საკურორტო ინვენტარის გასაქირავებელი პუნქტები.

საზოგადოებრივი კვების სისტემაში საჯდომი ადგილების გაზრდის მიზნით ახალი სეზონისათვის ვარაუდობენ გაგრის ახალ დასახლებაში ზღვის სანაპიროზე გაამშენონ მსუბუქი კონსტრუქციის სასადილო. ასევე გათვალისწინებულია ახალი სასადილოების გახსნა განთიადში, ალახაძესა და ლიძავაში. უახლოეს დროში საჭიროა გაგრაში, ბიჭვინთაში, განთიადსა და ალახაძეში გამოიყოს სათანადო ადგილები, სადაც განლაგდება საოჯახო დასვენებისათვის ავტოკემპინგები და პანსიონატები.

— გასულ სეზონში ფირმის დამსვენებლებს ძირითადად ჩვენი ობიექტები ემსახურებოდა, — თქვა გაგრის საზოგადოებრივი კვების ტრესტის მმართველმა ნ. გეგეჭკორმა, — ახალი სეზონისათვის ეს მომსახურება საგრძნობლად გაფართოვდება. ამ მიზნით დაწყებული გვაქვს და უახლოეს დროში გავამენებთ 600-ადგილიან კაფე-სასადილოს. არსებულ სასადილოებში კი, სადაც ფირმის დამსვენებლებს ვემსახურებით, მათი გამტარუნარიანობის გაზრდის მიზნით დავამზადებთ კომპლექსურ სადილებს. ასევე „ჟოეკკარის“ გარდა ყველა სხვა რესტორანი დღისით იმუშავებს როგორც მეორე კატეგორიის სასადილო.

ისე როგორც ყოველ ახალ საქმეში, გაერთიანება „დასვენების“ წინაშე ბევრი გადასაჭრელი პრობლემა დადგა. პირველ რიგში მოსაგვარებელია ფირმის ავტოტრანსპორტით, განსაკუთრებით მიკროავტობუსებით უზრუნველყოფის საკითხი.

საკურორტო ინდუსტრიის ახალი ფირმის პირველი ნაბიჯებით, მისი მომსახურებით დამსვენებლები კმაყოფილი არიან. ამას მოწმობს გაერთიანების მისამართით მიღებული მრავალრიცხოვანი წერილები, სადაც ვხვდებიან ავტორები მადლობას უთვლიან ფირმის კოლექტივს და კვლავ მომავალი სეზონისათვის ჩამოსვლას ფიქრობენ.

გაგრის ექსპერიმენტი გამართლდა, ექსპერიმენტი მოქმედებს!..

ი. გოგოჭია,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

კურორტი და დამსვენებელი

უკანასკნელ წლებში კურორტ გაგრაში თვალსაჩინოდ უმჯობესდება მშრომელთა მკურნალობისა და დასვენების ორგანიზაცია, სულ უფრო ფართოვდება ჯანმრთელობის კერების ქსელი. ცნობილია, რომ გაგრაში სამკურნალოდ ჩამოსულ მშრომელთა განკარგულებაშია 12 სანატორიუმი, 14 დასასვენებელი სახლი, 5 პანსიონატი, 13 საბავშვო გამოჯანსაღებელი დაწესებულება, რომლებიც ერთდროულად 13 ათასზე მეტ კაცს ემსახურება. გასულ ხუთწლედში კურორტი კიდევ უფრო დაამშვენა კლიმატურ-ბალნეოლოგიური სარეკომენდაციო ცენტრის თანამედროვე არქიტექტურის ახალმა ნაგებობამ, არქიტექტორთა შემოქმედებითმა სახლმა.

ჭიათურა

ფერისცვალება

ამ გოლო ხანს განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ქალაქის კეთილმოწყობასა და მისი არქიტექტურული სახის გაუმჯობესებას. აშენდა დეკორატიული კედლები, რეკონსტრუირებული ქუჩები და სკვერები, მოეწყო თორმეტსართიანი მხატვრული ლამპიონები ნინოშვილის, კომკავშირის, ძნელაძისა და გოგებაშვილის ქუჩებზე, აგრეთვე მთავარ გზატკეცილებზე.

საშეკვარდნოს კლდეზე დამონტაჟდა ელექტროსაათი, რომელიც ქალაქის ყველა კუთხიდან ჩანს. დაიწყო ტერიტორიის კეთილმოწყობა სოფელ თაბაგრების გზის შესახვევთან, სადაც სამხატვრო სახელოსნო „ივერისა“ და საჭკვების ბლოკის შენებლობაა გათვალისწინებული.

დაიწყო ქალაქში შემოსასვლელი თაღების შენებლობა, ახალი ნარგავებით დამშვენდა დიდგების მემორიალი, თეატრის წინა სკვერში აღდგენილია სასმელი წყლის შადრევანი, ახალი შუქოკლამებით გაფორმდა სავაჭრო და საყოფაცხოვრებო ობიექტები.

გელადის სახელოგნის მოედანი

არქიტექტორები კ. ჩხეიძისა და მ. ხვედელიძის პროექტით რეკონსტრუირებულია ქალაქის ცენტრალური მოედანი, სადაც ვ. ი. ლენინის ძეგლი აღიმართა და ამიერიდან ბელადის სახელი ეწოდა. შესანიშნავ ანსამბლად შეიკრა ჭიათურის საქალაქო კომიტეტის, გაერთიანება „ჭიათურმანგანუმის“ ადმინისტრაციული შენობები და განახლებული მოედანი, რომელიც სკვერითა და გრანიტის ფილებით დამშვენდა.

ახალი ავტოსადგური

ქალაქის მშრომელთა სასიხარულოდ ამ დღეებში თანამედროვე ტიპის ახალი ავტოსადგური ჩადგა მწყობრში. იგი საათში 150 მგზავრს მოემსახურება.

ერთსართულიანი შენობა (პროექტის ავტორია არქიტექტორი რ. სალდაძე) გათვალისწინებულია საქალაქთაშორისო და შიდასარაიონო ავტობუსთა მარშრუტებისათვის. მგზავრთა განკარგულებაშია ვესტიბიული საბილეთო სალაროებით, ბარგის შესანახი საკნები, მოსაცდელი დარბაზი, დედათა და ბავშვთა ოთახი, საყოფაცხოვრებო დანიშნულების ობიექტები.

ავტოსადგურის ტერიტორიაზე გამოყოფილია ავტობუსების, ტაქსების და ინდივიდუალური ავტომანქანების სადგომი.

ქორწინების სახლი

მართლაც რომ ორიგინალური ფორმის (არქიტექტორი — ო. ნაფეტვარიძე) ქორწინების სახლი აღიმართა ქალაქის ცენტრში. თვალსა და გულს ახარებს ვრცელი ვესტიბიული თუ საქორწილო დარბაზი, ინტერიერი და ექსტერიერიც დიდი გემოვნებით გაუფორმებია მხატვარ ჯ. მოდებაძეს.

ბედნიერების სახლი მალე გაუღებს კარს პირველ წყვილებს, მტკიცე ოჯახის შექმნასა და გამრავლებას უსურვებს ახალშეუღლებულთ.

ნორჩებმაც გაიხარეს

აშენდა და საექსპლოატაციოდ გადაეცა საცხოვრებელი სახლები მოსკოვის, ტოლსტოის, მერკვილაძის, იაშვილისა და ორჯონიკიძის ქუჩებზე. მალე 350-ზე მეტი ოჯახი იზეიმებს ახალმოსახლეობას.

გაიხარეს ნორჩებმაც — მათს განკარგულებაშია თანამედროვე 140-ადგილიანი ბაგა-ბაღის შენობა.

განახლდა სკოლის შენობები სოფელ კაცხსა და მანდაფაში — გაფართოვდა საკლასო ოთახები, კეთილმოეწყო კაბინეტ-ლაბორატორიები. ახლა ეს სკოლები სრულად აკმაყოფილებს კონტინგენტის მოთხოვნებს.

ცენტრალური საქვაბე

წლების განმავლობაში ვერ წყდებოდა ერთი პრობლემა — ცალკეულ დაწესებულებათა საქვაბე მეურნეობები ვერა და ვერ აკმაყოფილებდა ქალაქის მოსახლეობის გაზრდილ მოთხოვნებს. პარტიის ჭიათურის საქალაქო კომიტეტისა და ქალაქის საბჭოს აღმასკომის ინიციატივით აიგო და მწყობრში ჩადგა ქალაქის ცენტრალური საქვაბე, რომელიც შეუფერხებლად მუშაობს.

ჰ. შარიქაძე,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

სასარგებლო შეხვედრა

გორი. (საკ. კორ.). ქალაქის მე-2 საშუალო სკოლაში საინტერესო ღონისძიება გაიმართა. მოსწავლეებთან, მათს მშობლებთან, სკოლის პედაგოგ-აღმზრდელებთან სტუმრად მოვიდნენ ადმინისტრაციული და იურიდიული სამსახურების მუშაკები.

„არასრულწლოვანი და მოქმედი კანონი“ — ასეთი იყო შეხვედრის თემა.

შეკრებილთა წინაშე გამოვიდნენ ქალაქის სახალხო სასამართლოს თავმჯდომარე კ. ბზიშვილი, შინაგან საქმეთა საქალაქო განყოფილების უფროსის მოადგილე ნ. დალაქიშვილი, სკოლის დირექტორი ო. ელიოზიშვილი.

გამომსვლელებმა პასუხი გასცეს ბევრ კითხვას, რომლებიც შეხვედრის მონაწილეებს აღელვებდა და აინტერესებდა.

გ. ვაშაკიძე.

ზტორმი სახალინზე

იუჟნო-სახალინსკი. 17 მარტი. (საკ. კორ.). შტორმული ქარი ამოვარდა და ძლიერი თოვლი მოვიდა სახალინზე. იაპონიის ზღვიდან ღრმა ციკლონით გამოწვეული სტიქია დაატყდა თავს კუნძულოვანი ოლქის სატრანსპორტო კომუნიკაციებს, სანავსადგურო ქალაქებსა და დაბებს, სამრეწველო საწარმოებს. ქარის ძალა წამში 30 მეტრს აღწევდა. კუნძულის ზოგიერთ სამხრეთ რაიონში გასულ დღე-ღამეში ნალექების თვიური ნორმა მოვიდა. მთებში დაიწყო ზვავების ჩამოწოლა.

შეწყდა საავტომობილო და სარკინიგზო მიმოსვლა. დაზიანებულია ელექტროგადამცემი ხაზები. გრიგალისებურმა ქარმა, რომელიც წამში 40 მეტრის სიჩქარით შეიჭრა თათრეთის სრუტეში, აკვატორიაში დიდი ტალღა გამოიწვია. სასტიკი შტორმისაგან გადარჩენის მიზნით დრეიფზე დადგნენ ვანინო-ხოლმსკის საზღვაო-სარკინიგზო გადასასვლელის ბორნები.

სინოპტიკოსებმა წინასწარ აცნობეს ოლქის მცხოვრებლებს მოახლოებული ავდარი. თოვლებრძვიან გზის მუშაკთა სპეციალური ქვეგანაყოფები, ქალაქისა და სოფლის მექანიზატორები. ჩვეულებრივ მუშაობენ სამრეწველო საწარმოები, მაღაზიები და კინოთეატრები. მხოლოდ სკოლებში დაიწყო „ხანმოკლე „არდადეგები“ — აქ შეწყდა მეცადინეობა.

სასამართლო

18 მარტი

პირველი პროგრამა. 9.00 — „ვრემია“. 9.40 — სპორტი კვირის მანძილზე. 10.10 — ბავშვებს — მზეცებს შესახვ. 10.40 — დოკუმენტური ტელეფილმი. 11.10 — მხატვრული ტელეფილმი „ბოშა“. I სერია. 12.50 და 15.30 — ახალი ამბები. 15.50— დოკუმენტური ფილმები. 16.50 — კონცერტი. 17.30 — ახალი ამბები. 17.35 — პარიზის კომუნის 115 წლისთავისათვის. 18.20 — პიიდნი — სიმფონია № 92 სოლ მაჟორი. 18.50 — ორი სამყარო. — ორი პოლიტიკა. 19.35 — მულტფილმი. 19.45 — დღეს მსოფლიოში. 20.00 — მეცნიერება და ცხოვრება. 20.30 — ახალი ამბები. 20.40 — მხატვრული ტელეფილმი „ბოშა“. II სერია. 22.00 — „ვრემია“. 22.40 — ხელოვნების ოსტატთა კონცერტი. 0.05 — დღეს მსოფლიოში.

მეორე პროგრამა. 9.00 — დილის ვარჯიში. 9.15 — დოკუმენტური ტელეფილმი. 9.35 და 10.35 — მუსიკა. მე-2 კლასი. 10.05 და 14.55 — ფრანგული ენა. 11.05 — პროფტექსსწავლებელთა მოსწავლეთათვის — ესთეტიკური აღზრდა. 11.35 და 12.40 — ფიზიკა. მე-7 კლასი. 12.05 — საჭადრაკო სკოლა. 13.10 — XIX საუკუნის მიწურული რუსული ხელოვნება. ვ. სეროვი. 14.00 — ი. ბაბელის ცხოვრება და შემოქმედება. 15.25 — მ. შოლოხოვის გმირები თეატრალურ სცენაზე. 16.05 და 19.00 — ახალი ამბები. 19.20 — რიტმული ტანვარჯიში. 19.50 — არქიტექტორი ლ. რუდნევი. 20.20 — მსოფლიო მუსიკალური კულტურის საგანძურიდან. ა. ს. დარგომიჟსკი. 21.00 — „ძილი ნებისა, პატარებო!“ 21.15 — საშეცნიერო-პოპულარული ფილმი. 21.30 — მუსიკალური კიოსკი. 22.00 — „ვრემია“. 22.40 — მხატვრული ფილმი „რომანი ფოსტით“. I სერია. 23.45 — ახალი ამბები.

ოჯილისი

18 მარტი

პირველი პროგრამა. 9.00 — „ვრემია“. 9.35 — მომამბე“. 10.10 — დიალოგი პოლიტიკურ თემაზე (განმეორებით). 10.30 — საბჭოური ცხოვრების წესი — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ახალგაზრდა დირექტორის ცხოვრებიდან“. 11.20 — მოკლემეტრაჟიანი სატელევიზიო მხატვრული ფილმი „ოჯახური დრამა“. 12.10 — სამეცნიერო-პოპულარული ფილმი „ღრუბლებზედა ჯოჯოხეთი“. 12.40 — დოკუმენტური ფილმი „აკადემიკოსი საბოლოევი“. ციმბირული ფურცლები. 13.00 — ქართული ენის ტელეკურსი. 13.30 — საინფორმაციო გამოშვება. 13.45 — ამბიტურიენტთათვის — ქიმია. 16.05 — საინფორმაციო გამოშვება (რუსულ ენაზე). 16.15 — შევისწავლოთ ინგლისური ენა. 16.45 — დღეს თბილისის კინოთეატრების ეკრანებზე. 16.55 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ალფა-ალფა“. 17.10— მოსწავლეთათვის — „აბა დელია“!. 18.05 — „გავამდიდროთ ადამიანის სულიერი სამყარო“ — საქართველოს კინემატოგრაფისტთა VI ყრილობისათვის ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „მთელი მისი სიცოცხლე“. 18.25 — პროფტექნიკური სასწავლებლის მოსწავლეთათვის — „ესტაფეტა გრძელდება“. 18.40 — ხალხური თვითმოქმედების კონცერტი. 19.25 — რეკლამა. 19.30 — მოქალაქე, საზოგადოება, კანონი“ — სასამართლო დარბაზიდან. 19.45 — დღეს მსოფლიოში (მ). 20.00 — მომამბე“. 20.35 — „ცეროდენას ეკრანი“. 20.50 — ლიტერატურული გადაცემა „გახსენება“ — გიორგი გელაშვილი. 21.30 — ხელოვნების ოსტატთა კონცერტი. 22.00 — „ვრემია“. 22.40 — „გავამდიდროთ ადამიანის სულიერი სამყარო“ — საქართველოს კინემატოგრაფისტთა VI ყრილობისათვის — ქართული მხატვრული ფილმი „დღეს ღამე უთენებია“ I სერია. 23.50— საინფორმაციო გამოშვება.

მეორე პროგრამა. 16.35 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ფირმის საიდუმლოება“. 17.05 — მოსწავლეთათვის — გეოგრაფია. 17.50 — კინონარკვევი „ქალაქის ახლოს“. 18.10. — მოსწავლეთათვის — ბიოლოგია.

თეატრი

18 მარტი

ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური — ტრაგიატა (54-ე აბონ. მე-8 წარმ.); მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — ისევ ვოდევილები; აპაჩიძის სახელობის მუსიკალური კომედიის — კახელები ბამზე; თბილისის სახელმწიფო დრამატული — ტოტების ოჯახი (მე-3 აბონ. მე-4 წარმ.); მინიატიურების სახელმწიფო — ბავშვი ხეზე ანუ ბესარიონის თავგადასავალი; ფილარმონია — ებრაული კამერული მუსიკალური თეატრი (დიდ საკონცერტო დარბაზში).

ჩვენს ტელეეკრანებზე

18 მარტი

პირველი პროგრამა. 9.00 — „ვრემია“. 9.40 — „ბავშვობა“. 10.10 — „ბავშვებს — მზეცებს“ შესახვ. 10.40 — დოკუმენტური ფილმი. 11.10 — მხატვრული ტელეფილმი „ბოშა“. I სერია. 12.50 და 15.30 — ახალი ამბები. 15.50— დოკუმენტური ფილმები. 16.50 — კონცერტი. 17.30 — ახალი ამბები. 17.35 — პარიზის კომუნის 115 წლისთავისათვის. 18.20 — პაიდნი — სიმფონია № 92 სოლ მაჟორი. 18.50 — ორი სამყარო. — ორი პოლიტიკა. 19.35 — მულტფილმი. 19.45 — დღეს მსოფლიოში. 20.00 — მეცნიერება და ცხოვრება. 20.30 — ახალი ამბები. 20.40 — მხატვრული ტელეფილმი „ბოშა“. II სერია. 22.00 — „ვრემია“. 22.40 — ხელოვნების ოსტატთა კონცერტი. 0.05 — დღეს მსოფლიოში.

მეორე პროგრამა. 9.00 — დილის ვარჯიში. 9.15 — დოკუმენტური ფილმი „ალფა-ალფა“. 17.10— მოსწავლეთათვის — „აბა დელია“!. 18.05 — „გავამდიდროთ ადამიანის სულიერი სამყარო“ — საქართველოს კინემატოგრაფისტთა VI ყრილობისათვის — ქართული ფილმი „დღეს ღამე

ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘ
ᲩᲕᲔᲜᲘ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ ᲓᲐ ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲘᲡ
880096, ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ-96. ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲡ Ქ. 14.
ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐ:
ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘᲡ ᲛᲝᲐᲓᲒᲘᲚᲔᲑᲘᲡ — 99-93-03, 99-03-09, ᲐᲒᲠᲝᲜᲝᲛᲘᲐ — 99-72-80, ᲡᲐᲐᲓᲒᲘᲚᲘᲡ — 99-66-10, ᲒᲐᲜᲧᲝᲤᲘᲚᲔᲑᲔᲑᲘᲡᲐ: ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚᲘ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲡ — 99-87-61, ᲛᲐᲠᲥᲘᲡᲘᲡ ᲣᲚᲚᲔᲜᲘᲜᲘᲡ ᲗᲔᲝᲠᲘᲘᲡ ᲞᲠᲝᲞᲐᲒᲐᲜᲓᲘᲡ — 93-95-20, ᲡᲝᲤᲚᲘᲡ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲘᲡ — 99-52-46, ᲛᲠᲐᲕᲚᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ Ტ